

კაჟა ეტჳისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 91

2020



მთ. რედაქტორი

ლადო ათანელი

საქართველოს სახალხო
არტისტი, მსოფლიო ბარიტონი,
საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო
მოდგაწეობა საერთაშორისო
აკადემია „ქალდეა-საქართვე-
ლო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ევრიხელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაძის ქ. №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-898-4 (91 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმინდება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაგული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნინერებათა აკადემიის ნამღვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესკანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრემიუნტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნინერო აკადემიის ვიცე-პრემიუნტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეთვე, პრეზიდისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საჯოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





კოეტის ასტრომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მივყენს რომ ვმბადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიოსაც, რომ ახანჯარებს წუმად სამქაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთახვი, ათახვი, ათახ ხუთახვი მებგვერდიანი „ბაჯალო“, ოქროს ყვავი ჩანგული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი ახრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბარი მუნაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მღვასთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუნაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მამიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბამიუფლორემელი ასტრომეული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინეული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამქაროს ოცდაათტომეულზე მებ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხია.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...“


კონსიუმი კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგელეჟანი მისწოლია... მათ იცინან იმ ოქმება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მენცერიკატა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცოვად უხევილი ყოველ ძეხას, ყოველ კაბეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიერ

ღვთისმშობლის წილხვდომილ საქართველოში ბევრი პოეტია. ყველა თავისებურად იკითხება.

ზოგს წაიკითხავ და გაცდლები, დამუნჯდები, ხელებს ზე აღაპყრობ და იტყვი: ოი, ღმერთო, რა დიდია!

ზოგს წაიკითხავ და, ყველაზე საყვარელი ადამიანი ვინცა გყავს, მას შეეხმიანები, შენს აღტაცებას გაუზიარებ.

ზოგს წაიკითხავ და ზედ მიგეძინება.

ზოგს ვერ წაიკითხავ და იტყვი, ამოდ დამშვრალა ამის დამწერიო.

ვაჟა ეგრისელის ღექსები მის მიერ ბოლო წლებში გამოცემულ წიგნებში წავიკითხე და გავვოცდი: ეს რა თავისთავადი, შემოქმედი გყავს-მეთქი! და აღმეძრა დაუოკებელი სურვილი, შეეხმიანებოდი ჩემს საყვარელ ადამიანებს, ჩემ მკითხველებს.

როცა პოეტზე წერ, წინამძღვარად არ შეიძლება მისი ღექსები არ მოიხმო.

არ შეიძლება სხვა პოეტთა ღექსებიც არ შეახსენო მკითხველს იმავდროულად.



მეც ამ პირობას მივსდევ.

თუ სადმე ლექსი მოვიტანო, ავტორი კი არ დავასახელო, ჩავთვალთ, რომ ეს ვაჟა ეგრისელის ლექსია. სხვათა ლექსებს აუცილებლად თან დაერთვებათ მათი ავტორების გვარსახელი.

რვა საუკუნის მერე მოველ

კოხტაგორასთან

და სამშობლოსთვის აგიზგიზებულ

მამაულიშვილთა

ერთგულების კოცონზე ვთბები.

არა ჩანს ცოტნე.

არც გაგელი...

და არც ჯაყელი...

შეთქმულელებით ისევ სდუმან

მოხუცი მთები

და უჩანთ თოვლის თეთრი საყელო.

ეს ლექსი დროის მონიშვნას რომ შეიცავს, მიტომ მოვიტანე.

უკიდევანო ქართული პოეზიის სათავე ხომ რვაასი წლის წინ შექმნილ შედეგებში დავინახეთ.

არც თუ უსაფუძვლოდ, ბევრს (ედმუნდ ჰუსერლი და სხვა) ხელოვნების ნაწარმოები იმ წმინდა აზრის გამოსატყულებად მიაჩნია, რომელიც სივრცის, დროისა და ცვალებადობის გარეშე არსებობს. ჩვენ პოეტს მაინც ეპოქის შვილად ვთვლით და ამიტომ ვუჯერებთ ვაჟა ეგრისელს, რომ იგი მეოცე საუკუნის პოეტი.



მეოცე ასწლეულის შუახანები რომ დაგვემშვიდობა, ქართული პოეზიის დიდი ტაძარი მობრდღვიანულ ნათურებით იყო გაჩაღებული, დაწყებული რუსთაველიდან და ჩახრუხაძიდან, გალაკტიონი ტაბიძემდე და ლადო ასათიანამდე. ნათქვამი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრი მტკვრის პირას“ და ალექსანდრე აბაშიელის –

მყინვარწვერის თოვლის თეთრო თაველო,
ლურჯო ნისლო, მტკვრიდან ცაში ასულო,
ვეფხის ტყავად დაფენილო მთა-ველო,
ორბის ფრთების ჩრდილით გადახაზულო...
განთიადის ცეცხლი შემოკიდებაჲ
და სადამოს მთვარეჲ ჯიხვის რქიანო,
აღმართ-აღმართ აღმავალო დიდებაჲ –
შენ ახალი საქართველო გქვიანო!

ჩვენამდე მოტანილი ქართული პოეზიის ტაძარი კი ელვარება დიდებით გაჩირაღდნებული, მაგრამ, ვაი, რომ ეს არ იყო „აღმართ-აღმართ აღმავალი დიდება!“

ქართული პოეზიის „რენესანსიც“ ჭორი იყო, რომელიც 70-იან წლებში გაავრცელეს ჩვენში პარტოკრატის დავალებითა და ლოცვა-კურთხევით.

დაწერილი და დაბეჭდილი იყო კაცთმოყვარეობისა და

მოკრძალების შუქით გამთბარი ლადო ასათიანის ლექსი:

რუსთაველის პროსპექტზე სიარული



ნუ მომიშალოს ღმერთმა,
ვიყო მუდამ ასე მხიარული,
ქართველი პოეტი მერქვას,
პურის ნატეხი და ერთი ლიტრა ღვინო
სიმდიდრედ ჩამითვალეთ,
თუ მეტი ვინატრო, ან ეს ვითაკილო,
ვერ ვნახო სამოთხის მთვარე...
მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს
ქაშუეთის შემოხედვამ, –
რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი
ნუ მომიშალოს ღმერთმა.

დაწერილი და დაბეჭდილი იყო ვაჟა ეგრიხელის
მზით გაჯერებული ლექსებიც, რომელთა ავტორს
სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, პოეზიის ჯვარზე
ვარ გაკრულიო.

მოვეუსმინოთ:

მზე არის ჩემი დასაწყისი

და დასასრული...

და სტრიქონების ხნულებს შორის

მზე ითესება –

ყოველთვის, როცა დღე

დამდება, დილა თენდება

და მამლებივით მზეს ყივიან

ჩემი ლექსები

სულმოუთქმელად

და გადამდებად.



* * *

ჩემმა გამჩენმა

ჩემი სამშობლოს

ცის სილამაზე

თავს დამარისხა

და ვიცი, ახლა,

თვით უფალიც ვედარ მიშველის,

რადგან დღედაღამ ფიქრის კარზე მესმის

კაკუნი.

მაცხოვარივით –

ტიტველ-შიშველი –

ვარ პოეზიის ჯვარზე

გაკრული.

მაგრამ ლადო ასათიანსა და ვაჟა ეგრისელს როდი გულისხმობდნენ კრიტიკოკები და ლიტერატურათმცოდნენი ქართული ლექსის ამაღლორძინებლებად და „რენესანსის“ შემომტანად.

არადა, სახელდობრ რომ ლადო ასათიანმა და შემდგომ მუხრან მაჭავარიანმა აიყვანეს ქართული პოეზია ახალ საფეხურზე პატრიოტგული ღირიკით, მამულიშვილური სიყვარულით გამთბარი ლექსებით!

არადა, სახელდობრ ხომ ვაჟა ეგრისელმა, შოთა ნიშნიანიძესთან ერთად ააბრწყინა ქართული ლექსის მხატვრული სრულყოფილობა, სახით-მეტყველება!



უნიჭობა პარპაშებდა, ნიჭიერება კი ჩრდილში იყო დამალული, ხანდახან თუ ახერხებდა ჩრდილიდან თავის დაღწევას, – წინ უფსკრულს განუმზადებდნენ ხოლმე თვითმარქვია „გენიოსები“ და მათი მფარველი პარტოკრატიის მსახურნი.

უნიჭობის პარპაშმა ათქმევინა აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს: „ისტორია ყოველთვის იყო უღმობელი მსაჯული ჭეშმარიტებისა ყველგან და ყველა ქვეყანაში: ოდესღაც მქუხარე ნაწარმოებები, გენიალურად რომ იწოდებოდნენ, თუმცა ეფემერიდებს წარმოადგენდნენ, ისტორიამ დავიწყებას მისცა. დღესაც გვაქვს არაერთი აღზევებული, უსაფუძვლოდ, მაგრამ მაინც რაღაც მანქანებით სახელგანთქმული ნაწარმოებები; ეჭვი არ მეპარება, მათაც იგივე ბედი მოეღის თავის მოხერხებულ ავტორებთან ერთად, რაც წინამორბედთ დამართით“;

თავისი უსაყვარლესი მგოსანი იოსებ ნონეშვილი ქართველმა მკითხველმა რუსთაველის პრემიის მისაღებად წარადგინა. სწორედ მაშინ გამოვიდა პოეტის მზით გამთბარი ლექსების წიგნი, რომელიც ასეთი სტრიქონებით მთავრდებოდა:

... და სულზე უტკებსო ქვეყანავ მშობელო,
ქართულო ქალაქო, ქართულო სოფელო,
მთა-ბარი, ყვავილთა ჩანჩქერით ნაბანო,
სამყაროს გვირგვინში ჩასმულო აღმასად,
ეს გული, ეს წიგნი, ეს ლექსთა ჯაგანი,
მიიღე – მუხლმოყრით შენ შემოგთავაზა!



საქართველომ, ქართველმა ხალხმა კი მიიღეს პოეტის პოეზია და შეიტკბეს იგი, მაგრამ „რენესანსის“ მიმთვისებლებმა და პარტოკრატებმა არ მიიღეს და იოსებ ნინოშვილი რუსთაველის პრემიის ღირსად არ ჩათვალეს. „რენესანსი“ მათ იმისათვის მოიგონეს, რომ თავისთვის გამოეყენებინათ სახრავად და სხვას როგორ გაუნაწილებდნენ, თუგინდ ის ჭეშმარიტად სახალხო პოეტი ყოფილიყო!

არა, „რენესანსი“ არ იყო, იგი დაიბრალეს საკუთარი პიროვნების გასადიდებლად. ცხადია, ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეტები ამას ვერ დაიბრალებდნენ. „რენესანსზე“ გაჰყტვიროდნენ ყალბი პოეტები და პარტოკრატები, რომლებიც თავს იქებდნენ, მწერლებთან სანაქებო ურთიერთობა დავამყარეთო. მათზე ამბობდა მწერალი რევაზ ჯაფარიძე: ზოგი იქამდეც კი მივიდა და იმდენად გათამამდა, – უკანასკნელი ათი-თორმეტი წელი (ლაპარაკია 1972-84 წლებზე – კ. მ.) არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი ქართული მწერლობის უმაგალითო აღმავლობის, კიდევ მეტი, რენესანსის წლებად გამოაცხადა“.

რენესანსი კი არა, პარტოკრატების მწერლებთან კარგი ურთიერთობა კი არა, მწერლებს გაბედული სიტყვის თქმაც კი ეკრძალებოდათ და, თუ კი ვინმე მათგანი განიზრახავდა გაბედული აზრისათვის გზის მიცემას, ეს ქვეტექსტებით უნდა მოეხერხებინათ. ამან ათქმევინა პოეტს სილოვან ნარიძეს:



გაბედულება,
ლექსო ჩემო, გაბედულება,
მე სხვა დიდება სამზეოზე
არ მეგულება!..

ზედგამოჭრილია ამ დროისათვის აპოლონ არაბულის დახასიათება: „ამგვარი ხანა მქონებულთა, მესახრავეთა დიდების ხანაა. მათთვის ნაშოვნი „სახელიანობის“ გარანტიაც გახლავთ; მათ შეუძლიათ იყიდონ სახელიც, დიდებაც, პატივისცემაც და დაჩრდილონ და დასცილონ კიდევაც ჭეშმარიტი სახელის მქონებელთ... უბედური ქვეყნის შვილი ბედნიერი ვერ იქნებაო. მათ შეუძლიათ ბედნიერები იყვნენ უბედურ ქვეყანაში!

მერედა, როგორ ებრძვიან ცრუსახელიანნი ჭეშმარიტ სახელოვნებას, როგორ არის გამრუდებული ადამიანის ზენეობის შეფასების კრიტერიუმები, როგორი ცინიკური საფანელი აქვს მათს ფარულ თუ გამოსაჩენ მოქმედებას, ქცევას!“ (გაზ. „განათლება“, 1992 წ. 7 აგვისტო (გაზ. „განათლება“, 1992 წ. 7 აგვისტო).

ქართული პოეზიის დიდოსტატები ქვეტექსტებით მეტყველების დიდოსტატებადაც მოგვევლინენ. მშვენიერად ახერხებდნენ ამ საშუალებით სათქმელის თქმას მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ვაჟა ეგრისელი, მორის ფოცხიშვილი, ოთარ ჭელიძე,



და სხვანი, ზოგი მორიდებულად, ზოგი კი უფრო გაბედულად.

მხოლოდ ორ ლექსს მოვიტან. მკითხველმა თავად განსაჯოს,

რომელია უფრო მორიდებული და რომელი უფრო კოლორიტულად წარმომჩენი სათქმელისა.

ვაჟა ეგრისელი:

დაღუპულ გემის გემბანიდან

ნატყორცნ ბოთლივით

ვტივტივებ ჟამთა

უგულო ზღვაში

და ღმერთმა უწყის, როდის გამრიყავს

ნაპირზე ღელვა.

მორის ფოცხიშვილი:

ჭალაში ბალანაშლილი

თეთრი სეტერი ქრის...

მწყერი ბალახში წრიალებს,

აფრინდება და...

ფრრი...

სანამდე არ აფრინდები,

არავინ ერჩის მწყერს,

ვაიმე, ჩემი სიცოცხლეც

იქნებ ასეა დღეს.

ვიდრე მიწაზე დავდივარ,

ყველა სიკეთეს მგერის, –

აფრინდები და...

ვაიმე...



ავფრინდები და ფრრი...
ტყვიაც იწივლებს შურისა,
მთლად მიმიმსხვრევენ ფრთებს,

სანამდის არ აფრინდება,
არავინ ერჩის მწვეერს.
შავი საფანტი ირევა...
თეთრი სეტერი ქრის...

თუ ხელოვნებაში ფროიდიზმის დასაყრდენს „ოიდიპოსის კომპლექსს“ (ხელოვნება ნევროტიკული დამუხტულობის გამოვლინებააო) რაიმეს დაუფუჯერებთ, უნდა ვირწმუნოთ, რომ ჩვეულებრივ ადამიანში ნერვროტიკული დამუხტულობა ისტერიის, პარანოიის, შიზოფრენიისა და მანიაკობის სახით სახიერდება, ხელოვნებაში კი იგი ესთეტიკურად შენიღბული სახით წარმოჩინდება, ლექსი ფრიად ექსპრესიული, მიმზიდველი და შთამბეჭდავი ხდება. ჩემის აზრით, „ოიდიპოსის კომპლექსს“ ძნელად თუ ასცდება ვინმე, თუ ბუნებასთან ურთიერთგაცვლის პროცესი ნიანგივით შენელებული არა აქვს და მოვლენებზე აქტიურად რეაგირებს.

აღბათ „ოიდიპოსის კომპლექსის“ არეალში ბორგვა აიძულებდა ვაჟა ეგრისელს პირადაპირ არ ეთქვა, ბნელში ვზივართ ჩვენ, პოეტებიო, და სათქმელი ესთეტიკური სამშენისებით შეემკო:

მე,
მიწის ძე ვარ ანტეოსივით,



სხვები კი უფრო ზეცას ელტვიან...
და ჩემი სული მზით შემოსილი,
დედამიწაზე ვერ დაეცა.
გაივლის ჟამი...
დიდი ხნის მერე,
ნათელი მოვა
ღვთის ნაბოძები
და... საუკუნის ჩრდილში დაკარგულს –
ჩუმად მომძებნის.

კი ხვდებოდნენ, ხედავდნენ და გრძნობდნენ მა-
მულის სიკეთეზე მზრუნველი ადამიანები ხელოვნე-
ბის, კერძოდ პოეზიის დაცემის მიზეზს – პარტიულ
წნეხს, მაგრამ ყველაფერს ლიტერატურულ კრიტიკას
აბრალებდნენ:

„ფრიად გაეხსნა კარი კომპლიმენტურ კრიტიკა-
სა და „კარის“ კრიტიკოსთა წახალისებას“. – ამბობ-
და რომან მიმინოშვილი

„ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ქართველ მომ-
ქმედ კრიტიკოსთა მთელი ჯგუფი, რომლებიც თავი-
სი ცოდნით, კულტურით, აზრისა და თავლის სიმახ-
ვილით დაამშვენებდა ნებისმიერ ეროვნულ მწერლო-
ბას... და მაინც კრიტიკის უკმარისობა გვაქვს“. –
წერდა გიორგი გაჩეჩილაძე.

გაუფასურდაო კრიტიკოსთა უპრინციპობის გა-
მო რუსთაველის პრემია, – ამბობდნენ სხვები.

კრიტიკა არა გვაქვს! – იტყვიან ცნობილი მწერ-
ლები.



ცრუ ეპოქას ან კი საიდან უნდა ჰქონოდა კრიტიკა. კრიტიკა სიმართლეა!

სიმართლე რა ხელს აძლევს ეპოქას.

იყო დემაგოგის კრიტიკა...

იგი ანადგურებდა კარგს და გზას უხშობდა ნაღდ ლიტერატურას...

გაუჩინდა მწერლობასაც და ხელოვნებასაც მიღწეულით ტკობისა და დამკვიდრების სურვილი...

ეს იყო გარყვნილი სულის გარყვნილი ლაქლახი, მონღოლებული ცდა მარადისობის კარიბჭეში შეღწევისა და სიცოცხლეშივე იქ ადგილის დამკვიდრებისა...“

ვაი, ჩვენი ბრალი, რა გვეშველება ჩვენი უპრინციპო და უპასუხისმგებლო კრიტიკოსების ხელში! – გმინავდნენ.

მაგრამ არავის უთქვამს, რომ ლიტერატურულ კრიტიკას პარტიული წნეხი უფრო მაგრად აწვებოდა, ვიდრე სხვას. სხვები კიდევ ახერხებდნენ წნეხიდან თავის წამოწვას. ასე მოახერხა ალექსანდრე აბაშელმა – ეთქვა:

რა საჭიროა გადავაკვდე ურჩ მოკამათეს,

მჭამოს ათასმა თეორიამ და დებულებამ,

როცა მზე ჩემთვის მხოლოდ ერთი წუთით ანათებს

და სხვა სიცოცხლე მიწის გარეთ არ მეგულება!

რად ჩავიმწარო დარჩენილი წელი ორიოდ,



ვიდრე მიხმობდეს ცხონებული ჩემი ბებია?

ოთხმოცი წელი გაატარა უთეორიოდ,
და მისი ბედი, ბევრჯერ შემხარბებია.

ეს რომ კრიტიკოსს ეთქვა, ათასგვარი დანაშაუ-
ლის ჩამდენად შერაცხდნენ:

პრაგმატიზმის მომხრედ ჩათვლიდნენ, რომელიც
ქადაგებს, ხელოვნება იდეოლოგიურად პოზიციის მი-
მართ ვალდებული არ არისო:

ედმუნდ პუსერლის მიმდევრად მიიხნევდნენ, რო-
მელიც ამტკიცებს, ხელოვნება უხილავი ფიქციის
ხილვადი განსახიერებააო, „ყოველი პოეტური ნაწარ-
მოები არის მითი“, ხოლო ყოველი ლიტერატურული
ნაწარმოების „აზრი არის აზრის უქონლობა“:

ლენინის მიერ გამოგონილი „ლიტერატურის
პარტიულობის“ პრინციპისადმი დაღატს მაიწერდნენ:

აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ასეთ პირობებში მოუხდა ვაჟა ეგვისელს
სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და პროფესორ
აკაკი თოფურიას სიტყვებით რომ ვთქვათ, – წარ-
მოგვიდგა როგორც პოეტი – მოვლენა, პოეტი, – გა-
მოცანა, პოეტი – ნოვატორი,

ვაჟა ეგვისელის პოეზიის თავისთავადობის
ასახსნელად, აღნიშნავს ბატონი პროფესორი, – საკ-
მარისი არ არის ხაზი გავუსვათ მარტოდენ ერთ არ-
გუმენტს – მეტაფორული აზროვნების ნაკადი აქ
ნამდვილად პოულობს თავისებურ მძლავრ სადი-



ნარს“. ამის დამადასტურებლად მხოლოდ ერთი ლექსი მოაქვს ბატონ აკაკი თოფურიას:

საავდრო ღრუბლებს, როგორც ყვავ-ყორნებს
მიერეკება ქარი დასავლით...

ღირიჟორივით ცასაც შავი ფრაკი აცვია.

ომიდან შვილის მომლოდინე ბერდევასავით,
გათეთრებული ჩემს ჭიშკართან დგას აკაცია.

„გაოცება, გაკვირება გიპყრობთ, – სამართლი-
ანად აღნიშნავს ბატონი პროფესორი, – აცქერდებით
მესამე სტრიქონს და თითქოს გიჭირთ, გიძნელებათ
ზეცასთან ჯერ ღირიჟორის და მერე კი – შავი ფრა-
კის ასოცირება, მაგრამ განა თავის დროზე ყველას-
თვის ადვილად გასაგები და მისაწვდომი იყო ვაჟა-
ფშაველას ფრაზა: „მზემ დაიხურა პირბადე, მთებმა
დახუჭეს თვალები?“

აღნიშნავს, რა, რომ „მეტაფორის არსი სწორედ
მისი აღქმის სიძნელეშია“ და ხაზს უსვამს მეტაფო-
რის მნიშვნელობას საერთოდ, ბატონი პროფესორი
ანვითარებს აზრს, რომელიც მთლად როდი ემთხვე-
ვა, მაგრამ უახლოვდება ორტეგა – ი გასსე-
ტისა და რიჩარსის მოსაზრებებს: პოეზია მეტა-
ფორის უმაღლესი აღგებრააო, პოეტის სიტყვის
ორაზროვნება ნაკლი კი არა – შეუცვლელი საშუა-
ლებააო.

სხვა არგუმენტებიც მოჰყავს ბატონ პროფესორს
ვაჟა ეგრისელის ნოვატორობის დასადასტურებლად:
ნეოლოგიზმები და საკუთარი ძალის რწმენა, რაც



ლექსში „ძღვევამოსილი იმპერია“ გამოთქვა და რაც მას პუშკინთან („ძეგლი ავიგე ხელთქუმნელი“) და გალაკტიონთან („ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“) ანათესავებს. მოვიტანოთ ეს ლექსი:

მთები სიმაღლეს ისევ გალობენ
და ჩემს მამულში
სიმარტოვეს
წუხს სიღარიბე.
ირგვლივ სიმღერბის სიმრავლე
სიბევრეა
და... მაინც მიიწევს მაშრიყიდან –
მადრიბით
ჩემი ხმის –
ძღვევამოსილი იმპერია.

მაგრამ ესეც არ არისო მთავარი განმასხვავებელი ვაჟა ეგრისელის პოეზიაში, – მიუთითებს ბატონი აკაკი თოფურია, – და წერს: „ჩვენი აზრით, დღემდე ქართულ პოეზიაში არავის უცდია შემოეტანა და საკუთარი ღირიკული შემოქმედბის ძირითად გამსჭვალავ სისტემად ექცია ლექსის ისეთი ახალი ფორმა, როგორცაა ნოველისტური პროზის გაგრცელებული სახეობანი: ესკიზი, მინიატურული ჩანახატი, ფრაგმენტული ნაკვესები და ა. შ... ვაჟა ეგრისელის პოეტურ ნიმუშებში ღირიკული გმირის ადგილი მთლიანად დაიკავა ნაკვესებად, ანასხლეტებად, ესკიზებად, ჩანახატებად გადმოცემულმა გრძნობა-



განცდებმა, ხოლგებმა და სახე-სურათებმა, რომელთა ამადლებულად, მიმზიდველად და მახვილგონივრულად გამოსახვაში ვლინდება საბოლოოდ სწორედ ავტორის ნოვატორობაც“.

სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ ბატონი პროფესორის ნააზრევს, მაგრამ ის გაღრმავებას მოითხოვს.

ვაჟა ეგრისელის პოეზიას სპეციალური წერილები მიუძღვნეს სხვა გამონიშნულმა წერლებმა და მეცნიერებმაც. ჩემს ხელთ არის ასეულობითი წერილი და რეცენზიები, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა გაზეთებში. ეხებიან ისინი პოეტის შემოქმედების თითქმის ყველა მხარეს, მაგრამ, არა მარტო თვითიული მათგანი, არამედ ყველა ერთად არ იძლევა ამოწურავ პასუხს იმაზე, თუ რა ახალი შემოიტანა მან ქართულ პოეზიაში და რაშია მისი თავისთავადობის საიდუმლო. ეს გახდა სტიმული იმისა, რომ დამეწერა წერილების სერია ვაჟა ეგრისელზე, რაც შემდეგ შეერთდა და სოლიდური მოცულობის წიგნი გამოვიდა.

როცა ვამბობთ, ვაჟა ეგრისელის ნოვატორობა იმაში მდგომარეობს, რომ მან „შემოქმედების ძირითად გამსჭვალავ სისტემად აქცია“ ლექსის ახალი ფორმაო, ხელადებით უარყოფა ხომ არ გამოგვივიდა ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული საკმაოდ ცნობილი შეხედულებისა. ამის შესახებ, რომ პო-



ეტური სტრუქტურით პოეზიის მომხიბვლელობა არ აიხსნება?

ამ თეორიის მიხედვით, ლექსი ყოველთვის შედგება სულიერი „ბირთვისა“ და მატერიალური „გარსისაგან“.

ლექსის სულიერი „ბირთვი“ განმარტებას არ საჭიროებს, მატერიალური „გარსი“ ლექსისა კი ორი ფორმით გვევლინება: შინაგანი და გარეგანი ფორმებით, შინაგანი ფორმა სახეთა სისტემაა, დაწყებული „მიკროსახეებით“ (ტროპებით) და დამთავრებული სახე-პერსონაჟებით (ხასიათებით): გარეგანი ფორმა კი თვით ლექსის სტრუქტურაა.

კოტე მელაშვილი

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

*ნაწევები წიგნიდან – პოეზიის
სამყაროში სამოვ ზაუროდ*

გავრძელება შემდეგ ტომში



სულის უკვდავება

ბოლოს აეხილათ თვალი,
სულწაწემედილ „დემოკრატებს“.
სულის უკვდავება სწამდათ:
მონად გაყიდულ –
 პლატონს და
სიკვდილით დასჯილ –
 სოკრატეს.

1972

**იშთარი, ისიდა,
დემუზა, ინანა**

ამქვეყნად მოსვლა კი,
ტანჯვა იყო ისედაც,
და ბევრმა ეს ინანა,
რადგან აღარ წყალობდათ:
იშთარი¹ და
ისიდა²,
დემუზა³ და
(ი)ნანა⁴.

1991

¹ იშთარი (შუმ.) – დედა ღვთაება.

² ისიდა (ეგვიპტ.) – დედა ღვთაება.

³ დემუზა (შუმ.) – დედა-ღმერთი.

⁴ (ი)ნანა (შუმ.) – (დაზ-მეგრ.) – დედა-ღმერთი.



**ხილვა: ქალღვრები
მცხეთასთან**

კლდეებს გამოქცეული,
კისრისტეხით არაგვი,
მცხეთისკენ მოისწრაფის...
ვხედავ ბებრის ციხიდან
იოანე ზედაზნელს,
თავისივე ქალღვევლ –
თორმეტივე
მოწაფით.

1969



კოსმიური ანბანი

არსთა გამრიგის მიერ შექმნილი,
ასე უშქარი და
ურიცხეები,
დამის შავ დაფაზე რომ ბრწყინავენ,
სულ ბაჯადლო ოქროთი
დაწერილი,
კოსმიური ანბანია –
მურიცხეები*.

1960

* მურიცხი (მეგრ.) – ვარსკვლავი.



შუა მტკვრისა და არაქსის

იყო კულხა...

კოლხეთი,

თავის მტრით და მომხრეთი,

და მტერს არ ნებდებოდნენ

არასდროს და

არაგზით!

და... ჰყვარდა „კულტურა“

შუა „მტკვრისა

და არაქსის“.

1967



მთვარე

მილიარდი წელი არის –

გეძახის და

გულით მთვარე.

მწამს, მოსწყინდა ყოფნა მარტო.

მიტომ არის მგლოვიარე,

ექებს,

მაგრამ ვერ პოულობს,

კოსმიური ცოდნის პატრონს!

2014



ხილვა: სემირამიდას ბაღი

თურმე სულ სხვა ყოფილა
დიდი მგოსნის ოცნება,
ის, ვით ელვა წყვილიადში,
მიჰქრის...
მიიტყორცნება –
მცხუნვარე მზედ...
ამინდად,
და ფიქრით რწყავს „დაკიდულ
ბაღებს“* –
სემირამიდას.

1970

* მსოფლიოს ერთ-ერთი უხედი საოცრებათაგანი, რომლის მოწეობა მიეწერება ასირიის ლეგენდარულ დედოფალს – კოლხ-სემირამიდას. (ძვ. წ. აღ. IX ს.).



ზარზმა

ვით იმედი და რწმენა,
ცად მოხანს მთვარის ბორცვი,
აქ ვით ცხოვრების აზრი,
ისევ ისე დგას
ლოცვად,
დიდი ტადარი –
ზარზმის.

1978



ნანა

ათასწლეულების მერეც,

იცნობთ ერთი დანახვითაც,

რომ კოლხია...

და ერთია:

დედა – ნანა¹ და ინანა²,

ბიბლიური ესფირი³ და

ასტარტა⁴ და

ანახიტა.⁵

1980

¹ დედა – ნანა (ქართ. მეგრ.) – მთვარის ღვთაება.

² ინანა (შუმ.) – ღვთაება.

³ ესფირი (ბიბლ.) – ღვთაება ინანა (შუმ.) – ღვთაება.

⁴ ასტარტა (სირ.) – ღვთაება.

⁵ ანახიტა (სპარს.) – ღვთაება.



იტალიაში

წამით თვალს გაახეღს წარსული,
რომს ვხედავ ბედნიერს,
უნახავსა და უჩვევს...
ხსოვნაში ფიქრი იჭრება სოლივით
და მესმის ხალხის ხმა:
მუსოლინი!..

მუსოლინი!..

დუჩე!..

დუჩე!..

დუჩე!..*

1983

* დუჩე (იტალ.) – ბელადი!



თეთრი პეპასი

მზისა და მთვარის ოქროს ფრთიანი
ოლიმპოს მთისკენ
მიმაფრენდა ჩემი პეგასი.
და პოეზიას უზენაესს –
ღმერთად ვსახავდი.
აჰა, გავიდა წელი ერგასი!
ვერ იქნა,
ვედარ მოვიშორე
მისი სასაღი.

2020



ტიხარი

„ყოფნა, არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის“

შექსპირი

ვიცი, რომ

სიკვდილ-სიცოცხლეს შორის,
სულ პატარა ტიხარია.

რა ვქნა,

სად წავიდე!
ცხოვრება მაინც

მიხარია.

2020



ფრთები

„ო, რა სიმაღლიდან გარდმოვიჭერი
მე (ზეციით) მიწაზე...!

ემპედოკლე

მეც „ზეციდან გადმოვიჭერ“,
რომ მიწაზე „მწირად მევლო“...
და „დაეკარგე როცა ფრთები“,
და... სოკრატეც როცა მოკლეს!!!
მაშინ მეც ვით,
დიდ რუსთაველს
გამახსენდა ემპედოკლე.

1969



შერისცვალება

უკვე მესამედ ყივის მამალი,
ჩუმად ფერს იცვლის
პეტრე –
პაფლეთი!
მთელი სიცოცხლე ვინც ჭირს
მაღავედა,
ის ჭირმა ველარ დამალა,
– გზას გაუყენა –
მოუსაველეთის...

1978



ამირანი

თითქოს ელადელი იყო
და პრომეთე მით დაარქვეს!!!
იგი ამირანი გახლდათ,
კავკასიის –
მთით მოსული,
და ისევ იქ მიაჯაჭვეს
ჩვენი გმირი –
მითოსური.

1956



ახალი მოვარე

გზამ როცა ჩუმად ჩაუხვია
კუდიგორისკენ
და მზემ მთის მიღმა
ჩასასვლელად
გამართა მუხლი,
პატარა სოფლის ბოლოს –
ახატის,
წამს ფეხაკრეფით მოვიდა
მწუხარი
და...
ცას ახალი მოვარე
მიახატა.

2006



ისევ სოკრატე და პლატონი

ვერაინ ნახავს მათ ვარსკვლავს
სსოვნის ცაზე მითვლემილს!
(ადრე ბედით დატორილს¹)
ორი დიდი ბრძენკაცის,
ორი დიდი ქვისმთლელის² –
სოკრატეს და
პლატონის.

1990

¹ იგულისხმება – ათენელებმა სოკრატეს საწამლავი დააღვიწეს, მოკლეს! პლატონი კი მონად გაყიდა!

² ათენელები – მოქანდაკებს ქვისმთლელად მოიხსენიებდნენ.



1795 წელი

რა დრო გასულა...

მაგრამ მაინც ველზე

კრწანისის –

ყაყაჩოებს სახეებზე –

იმ დაღატის

სისხლი აწვებათ...

და სირცხვილისგან ეწვით

დაწვები...

მასათას მთაზე გაღურჯებული

დგანან იები.

1991



ბავშვობა

ამ ცისქვეშეთში არსი ყოველი,
რადგან დედისგან არის
ნაშობი...
და ჩვენ მოკვდავებს გვინდა,
არ გვინდა,
ხობოხის წყლიდან,
თუ არაგვიდან,
ღრმა სიბერემდე ჩუმად მოგვდევს
ჩვენი ბავშვობა.

2019



ზამთარი

ცამ შობა თოვლი

და ფიფქების

არ წყდება როკვა.

გათენდა დილა და

მზე ზამთრის

ქვა-მარილს ლოკავს.

1963



ისევ დიღება

გაჩენის დღიდან მტრობით მთვრალების
ჯოგი უფრო და უფრო
იზრდება!..
დედამიწა კი უფრო ბერწდება!!!
ადამის ძეო,
თუ მოესწრები,
კაცობრიობის გამოფხიზლებას?!

1969



* * *

ვითარცა მაშინ, ათასეული წლის
წინ ხატავთს,
რადაც აქ, ჩვენში:
ბუს თავიან ღმერთებს
ხატავენ.

1980



სასაფლაოზე

აქ დარგულ პატარა
ყვაილებს,
თვალეი ცრემლებით ვესებათ!
როდესაც პატარა ფესვებით,
მიცვალებულთა სულებს –
ესაღბუნებიან.

1964



ხილვა: აზონი (კვ. V. აღ. IV-III სს.)

„ყოველმან ქართველმან რომელმან
პოვის საჭურველი, მოკალო იგი“.
ქართლის მეფის ძე აზონი.

ჯერ არაჩანს ფანავაზი.¹..

მაგრამ აზონი დგას ქუხილად!
(შიში ახლავს თან არმაზის.²)

ქართველთა სისხლს მტკვარს

კვლავ ურთავს...

და „მსახურებს ღმერთს უხილვას,

მზეს,

მთვარეს და

ვარსკვლავთ ხუთთა“.

1968

¹ ფარნავაზი – გაერთიანებული საქართველოს მეფე (IV-III სს.)

² არმაზი (არმაზ) – ძველ ხეთური მთვარის ღვთაება.

ადამიდან –

ნოემღე

საიდანღაც ხმა ისმის

გარდასულ დღეთა საარის –

სურს, რომ გზასავალს –

ჰპოვებდეს.

ჰოი,

რა შორი გზა არის –

ადამიდან –

ნოემღე!

1959



ცეცხლი

სურს გადაბუგოს ეს დედამიწა
და ფეხისწვერზე
კვლავ ღვება ცეცხლი,
თუმც არის მარტო,
ვერაფერს ვერ ცვლის.
მაინც ამაყად მიიწევს
ცისკენ,
გულით უნდა რომ დაუბრუნდეს
ღმერთს –
თავის პატრონს.

1999



„ხმა სამარილამ“

ამ ცისქვეშეთში ნეტავ ამდენი,
უძილო ღამე აღარ
მეთია...
დავდივარ მთვრალი...
გაუპარსავი!
ვითარცა იქ...
აქაც ჯოჯოხეთია,
ტანჯვა...
წვალება...
შველა არსაით!!!

2019



კირბები

„კოლხებს თავიანთი დამწერლობა უნდა
ჰქონოდათ“.

პეროდოტე (ძვ. წ. აღ. IV ს.)

ეგროსის ნაშიერებს –

ძველ კოლხებს და
ლაზ-ჭანებს

ჰქონდათ თავის კირბები*,

მაგრამ ის ატლანტიდამ
ქექსენელს ჩაიყოლია!!!

და დღეს არსად ჭაჭანებს!!!

მიტომაა ნიადავ

ზღვას დაჰკივის

თოლია.

1984

* კირბი – კირიბი (მეგრ.) – ბატკანი, რომლის ტყავს
კოლხები საწერ მასალად იყენებდნენ.

უსხი ხარები

მის თვალთა ბრწყინვას ემაღლები,
ისე, ვით ზაფხულის მზეს
ყინული,
რადგან უხილავი ასე გყვარებია,
შენი „ფსალმუნები“ –
უსხი* ხარებია.
არსთა გამრიგისათვის შეწირული.

1958

* უსხი (სვან.) – საუფლო ხარი.



ხილვა:

იოანე საბაწმინდელი (VII ს.)

ვით იქნება ქართველის წარსულს,
არ ათოვდეს,
არ აწვიმდეს!!!
არ მოხდება ძერის ქარდი,
გაქორდეს და
გაარწივდეს!
ქართველი კი ქართველია
და შეცქერის ცას –
აწინდელს,
რომელიც რომ უფლის ნებით,
არ იქნება
არ გაბრწვიინდეს!
სწორედ ქრისტეს მადლი მოსავს –
იოანე საბაწმინდელს.

1966

* * *

დაიბადა მზე შიშველი,
სირცხვილისგან მიტომ იწვის,
ზოგჯერ მოხანს ცა იერთებს!

ჩუ! –

არ წაგცდეს

სიტყვა ბილწი,

ჩვენი სიტყვა ესმის –

ღმერთებს.

1979



იბერთა და ქალღვეელთა

„იმპერია“

ცაში ლოცვად ადიოდა

ბველ-კოლხური მისტერია*.

მას ებრძოდა ყველა ერთად,
ვინც მიწის და გზის მტვერია,

მაგრამ მაინც –

ზღვიდან – ზღვამდე

მეუფობდა –

იბერთა და ქალღვეელთა

„იმპერია“.

1988

* მისტერია (ბერძ.) – საიდუმლოებანი.



დილეა

რა იყო მაინც ვერ გამიგია,
რომ აღარ გეყო საწერ-
ქალაქი!!!
თუმც მზე გეფინა ხან რომის და
ხანაც ათენის.
მგოსანთა შორის შენ ყველაზე
გვიან გათენდი,
მაგრამ ადრე აღარ დაღამდი.

2020



* * *

უცხო ხმები მოდიოდა ციდან,
ტაძრები კი რწმენის
მაღალ ბორცვზე
მარადიულ მლოცველებად იდგნენ,
რადგან ბოლოს მოკვდავების
სული,
უკვდავთა სულს,
ვით მდინარე ერთვის.
სანთლები კი მდუღარ ცრემლებს
ღვრიდნენ,
და ჩიოდა უღმერთობას ღმერთი.

1980



* * *

წარსულის ნისლით გადახურული,
შავი ზღვა თითქოს
კოლხური ქვეყანაა მითანის.

არ ჩანან ქარები
უღღეურები და უძღურები.

ახალი მთვარე მოჰგავს „ტიტანიკს“,

ცა – ოკეანეა,

ღრუბლები –

კუნძულები.

1973



ვარსკვლავების ასომთავრული

სულ ასე იყო,
ჩემს ჯიშს და ჯილაგს,
მოსვლიდან სდევდა –
მტრობა ფარული...
და მიტომ ჯვარზე მრავალგზის ეცვა.
შეხედეთ ახლა საქართველოს
ქათქათა ზეცას,
დაწერილია ვარსკვლავების
ასომთავრულით.

1971



ცაცხვები

სასაფლაოზე წვანან ლოდები,
და პირს ვერ უხსნით დანა,
რადგან მწუხარე ხმები
არ ცხრება!
ვითარცა ხსოვნა,
გულმშვიდად დგანან,
და სალოცავეს ჰგვანან
ცაცხვები.


1970



* * *

კოლხეთი ვერ გააქრო,
მისმა ავის მდომელმა!!!
თუმცა ბევრი უთაქეს...
მაგრამ ველარ გასტეხეს!
ყური უგდეთ
პუტარქეს:
– კოლხეთს ველარ უწვდინა
შუბი –
მაკედონელმა!

1979



* * *

ხობისწყლის პირ გაჩენილებს,
სიმეუდროვე –
უყვართ ჭალებს.
მაგრამ ხობსს გულბორგენეულს,
სახლიანად წაუღია,
ზღვისკენ –
ბევრი უყვალჭარე*.

1969

* უყვალჭარე (მეგრ.) – უბედო, უიღბლო.



ათი წლის მერე

მინაწერი ჩემდამი მოძღვნილ მწერალ
ტატა დოსკურელის წიგნზე – „მეცხრე“.

ათი წლის შემდეგ ვკითხულობ

„მეცხრეს“.

და თვალები მევსება ნისლით,
(თუმც ძალას ვატან.)

და ფიქრიდან გეძახი – ტატა!

„სიყვარულის“ –

მე უნდა შემრცხვეს!

რადგანაც შენგან –

არასოდეს ვყოფილვარ ღირსი.

2013



იმათ იქით...

გრაალი...

საწმისი...

ეფუთი...

ქალდეა, კოლხეთი და ივერია...

და კიდევ რამდენი

იმათ იქით,

ჩემში პლანეტები ირევიან...

უკვდავებაზე –

არმყოფნის ფიქრი.

1966



**ხილვა: ურარტუს ლურსმული
წარწერები**

მითებს ათასწლეულთა
ხსოვნის ზღვები არწევენ,
როცა ვხედავ ურარტუს
ღამაზ ლურსმულ წარწერებს,
ასომთავრულს, ვითა ჰგავს
და შევეურებ, ვით სეირს,
ნამდვილია რომელიც,
და, კვერს მიკრავს
მანსერო,
გუიარმა და სეის,
ტესიეც და ჰომელიც.

1965



მეცხრე

მეცხრე ვარ და...

ცხრიდან ვმღერი...

და სანამ ძაღმის

ვიმღერებ...

რადგან ჩემს სიყმაწვილეში –

ვხედავ –

ჩემს ღამაზ

სიბერეს.

1954



სახლი(ს)კაცები

„ბოლოს შეჰყაროს მიწამა
ერთად მოყმე და მსცოვანი“,
რუსთაველი

აღმოსავლიდან,
ვიდრე დასავლით,
მთელი სამყარო მოჩანს ღიობად,
სიკვდილი მაინც აღარ
ამცდება!
ამიტომ მთელი კაცობრიობა,
მიმანია ჩემს
სახლი(ს)კაცებად.

1961



**მტკვარი,
ფაზისი**

ადრე თურმე ძმები ყოფილან...
და გაყრლიან...
ამის დასტურ მზე – ბეჭედად
გულზე აზის –
სულ სხვადასხვა:
აღმოსავლით
და დასავლით გზებით მავალს –
მტკვარს და ფაზისს.

1966



კოლეჯი

მე, ვით მცოდნეს სამართლის,
 მისარია,
 კოლხეთში,
 სულ შორეულ წარსულში,
 პლატონის¹ და „ფაზისის“²
 რიტორიკის სკოლამდე,
 (დაფნით შესამოსელი!)
 თურმე ჰქონდა კოლეჯი³ –
 „ორნივ მხარის მოსმენის“⁴.

1967

¹ პლატონის – რიტორიკის სკოლა, შემდგომ აკადემია „აკადემოსი“ (ძვ. წ. აღ. V ს.).

² ფაზისის (კოლხეთის) რიტორიკის სკოლა, მერე აკადემია (III-IV სს.).

³ კოლეჯი (ინგლ.) – უმაღლესი ან საშუალო სასწავლებელი.

⁴ კოლეჯს „ორივე მხარის მოსმენის“ გარეშე ან შეეძლო განაჩენის გამოტანა.

ჯარგვალი

გარეთ გაზაფხული დაღანებს,
ნაკვერჩხლებზე ნავლი
ჩანს ფიფქებად.

შუა კერის დარდია –

კვამლი,
ჯარგვალი მოჰგავს –
ცეცხლთან ჩაფიქრებას.

1970



ბინდ დაიჯერეთ, ბინდ არა

მეცხრე კი არა, მეათე,
ცას წვდება შენი ისარი.
მედებს ცრემლით მორწყული,
ისევ ჰყვავიან ბაღები
ნაღალატ-ნათლისმარი.
კოლხეთს კი ქალდე¹ დაცქერის,
რადგანაც მისი ხნის არის.
მათი ხნისაა ეს შენი ჩონგურიცა
და კითარაც...
ასე ეწერა „ეფუთში“².
გინდ დაიჯერეთ,
გინდ არა!

1962

¹ ქალდე – მთვარის დეოაება

² „ეფუთი“ – ბიბლიის წინარე ყოვლის მომცველი წიგნი, როლის გაუჩინარება, გადმოცემით პრეისტორიული კოლხეთში მდებარე „ატლანტის“ (ეგქსინის პონტო, ამჟამად შავი ზღვა) კატასტროფასთან (ჩაძირვასთანაა) დაკავშირებული.

კოლხეთი

საქართველო –

უკოლხეთოდ –

უწარსულოა!

1954



✠

ხეები ქარში

ღმერთის ქუხილად ჩაესმის,
გარბის და გამორბის ელვა
შეშფოთებით,
რადგან ცა მნათობთა სახლია!
მძვინვარებს ქარი და
ხეები,
ერთმანეთს თავს ისევ ახლიან...
და...
ჯარისკაცებით,
ეცემიან ფოთლები.

1969



* * *

სიცოცხლე! –

ჩვენ რომ ვხმოთ

უამთასვლად!

სხვა არაფერია!

თუ არა,

სოფელში,

მეზობლის,

მეზობელთან გადასვლა.

2003



ხილვა: არკადიელები

„... მაშინ საბერძნეთში მხოლოდ
არკადიელები იყვნენ, რომლებიც იქ
მოვარის დაბადებამდე ცხოვრობდნენ.“
აპოლონიოს როდოსელი

ჯერ ცაზე მთიები არ ჩანან,
მაგრამ სულ შოორეულ
წარსულში,
ხსოვნა ელვასავით
იელვებს
და ვხედავ კოლხ-არკადიელებს,
დაღლილებს და
თვალეზნამიანს,
ვით ლოცვას ცად სწევენ ქალაქებს:
ერიდუს¹,
ეას² და აიას³.

1965

^{1,2,3} – წარდგენამდელი კოლხური (ქართული) ქალაქები.

კაცობრიობის იმედი

როს იყივლებენ დილას მამლები,
აღმოსავლეთით გაიღება
ცისკრის სარკმელი
და მზე ამოვა,
ვით იმედი –
კაცობრიობის.

1968



ივლისი

კვლავ დახეთქია მიწას ტუჩები
და მუხლმოყრილი წვიმას
აბოდებს.

სადღაც ხმაური ისმის ქარების.
და ღრუბლებს მიაქვთ
მთავრის ნაფოტი.

ზღვა კი ნაპირზე ზვიროთებს
აღმართავს,

მსგავს მყინვარწვევრის
და ეშაფოტის.

1965



იოანე დამასკელი

ელადელმა შაირმთხვეელმა,
ბოლოს ასე დაასკვნეს:
– არც სოფოკლე,
არც პლატონი,
„ჰიმნთა თხზვაში“ –
არყავს ტოლი
იოანე დამასკელს. (VIII ს.)

1964



სიკვდილი – მკურნალი

დოსტაქრებმა ვერ უშველეს,
ვერ უშველა ლოცვამ,
ცრემლმა და ურვამ,
მაგრამ...
მერე მოვიდა და
ის სიკვდილმა
სამუდამოდ განკურნა!

2017



* * *

შორით რომ მოჩანს ცისკენ მზირალი
იმედია თუ მყინვარწერია,
რომელსაც მთვარე სიმყუდროვეს
ათოვს და აღვრის...
რავექნა, ამქვეყნად მოსვენება
არ მიწერია,
სიყვარულით და უშენობით
უღმერთოდ დაღლილს.

2014



სიცოცხლე – დღესასწაული

საიდანღაც მერცხლებივით

მოფრენილნი,

ყოფნა –

არყოფნას ვერსად

წაუვლიან,

რადგან სიკვდილი –

გლოვაა დაა

სიცოცხლე –

დღესასწაულია...

2020



არსთგამრიგე

უძირო და მუხანათი,
ცხოვრებაა –
ზღვის მორევი,
სიბრძნის წყარომ რომ იდინოს,
ასჯერ ნათქვამს
ვიმეორებ –
უნდა გწამდეს არსთგამრიგე!
– ასე ბრძანებს –
ბრძენი დივნოს.

1969



იდგა ჟამი,
რომელიც უფლის ჭერს
გარიდებდა,
ქროდა ქარი ველური...
მორჩა!
დმერთი ავგუსტის
თუა „ჭეშმარიტება“!
შენი გახლავთ „ქართული სიტყვა“
რუსთაველური.

1979



მეტი რა ქნას პოეტმა,
ებრძვის უამთა ქარიშხალს,
თუმც დრომ ბევრჯერ
გათვაღდა...

ერთიდაა...

საწყალი,
შურს ვერ უძლებს ცალთვალას.

2014



ლეონარდ ულის

იდიგნას¹ და ბურანუნის²

ნაპირებზე შუმერთა ხმა,

ისევ ისმის საამური,

რომელიც რომ მთელ სამყაროს

სიხარულის ჟრუოლად უგლის

და... ამოჰყავს ქვესკნელიდან

ური⁴...

ლეონარდო ულის⁵.

1979

1 – იდიგნა – ტიგროსი

2 – ბურანუნი – ეფერატი

3 – შუმერი – ქართველთა წინაპარი

4 – ური – ქალაქი-სახელმწიფო (ძვ.წ.2750-2315), ქვემო მესოპოტამია

5 – ლეონარდ ული – ინგლისელი არქეოლოგი, რომელმაც ურის გათხრების დროს ოქროს, ვერცხლისა და სხვა უამრავი განძეულობა აღმოაჩინა



ცხოვრების ათას დარჯაკგამოვლილს,
უამთა ტრიალი ვეღარ
გაშინებს!

ხობისწყლის პირას –
პარას ჭალაში,
ზიხარ და რწმენის უსვამ
შალაშინს –
ოცნების დღეებს აშალაშინებ...

2015



ძმად მიხმო,

მაგრამ მე ვიცი,

ქვეშ-ქვეშ ფარულად მეძრახვი*.

და ფერი გადევს ნისლის.

არყოფნა

ყოფნას ეძახის:

ვნახოთ! –

აჯობებს ვინ – ვის!

2014

*ძრახვა – ძაგება, განქიქება, აუგის თქმა



შესციცინებენ ცისქვეშეთს

და მთვარის აკვანს არწევენ,

ღღეები მიჰყავთ წელკავით.

ზოგ-ზოგნი ღექსებს არ წერენ,

„ასპიტის კვერცხებს

ჩეკავენ.“ (ესაია).

2009



ტალღა

ზღვა –

ველია მარათონის,

შაირ-მთხზველთა არ არს ტევა,

არ ეტყობათ მგოსნებს დაღლა...

და... მოადგა ნაპირს

ტალღა:

- გაიმარჯვა ეგრისელმა! –

თქვა და სული განუტევა.

2010



დავიწყების ბილიკებით,
ზამთრისაგან გათელილი
თებერვალი მარტებს მისდევს...
და „იქმენის ნათელი!“ კი,
წიგნი არა,

ტაძარია, –
არტემიდეს (ძვ.წ. VII)

2009



არკადია

ჰელიოსის თვალებიდან –

ცისკრისას რომ მოწანწკარებს –
ოქროს სხივთა ნაკადია.

და... კოლხეთი –

მგოსანთ მხარე,
არის ჩემი არკადია*.

1969

*არკადია – „საბერძნეთის სამოთხე“, პოეზიის სავანე



შოღორს,
ღამის მიღმა თვალებს
ახელდნენ –
ღრუბლები ეღვით გასანასკვავი.
მუხლებში ედგათ შიშის
ქუხილი.
და მომეჩვენა –
ცის მინდორზე დაყრილ
ვარსკვლავებს,
ჩუმად კენკავდა ღამე კრუხივით.

1962



სადღაც ათასწლეულების –
 პოეზიის ოქროს სხივი,
 უსამანოდ მზეს სცვიოდეს! –
წვეთი აღარ დააკლდება –
 ვერგილიუს,
 ჰორაციუსს,
 ჰომეროსს და
 ჰესიოდეს.

1993



დღის და ღამის სამჭედლოში,
მნათთა ცეცხლზე გაწრთობილი,
მზეა ჩემი ფარ-შიმშერი,
მთვარეც მიჩანს ფარ-შიმშერად.
მე
სიცოცხლე რას მიშეგლის,
თუ სიკვდილმა არ მიშეგლა!

2014



ისტორიის მინდორი,
როგორც სათეს-სახნავი
გელოდა... და ხელები
გედო უამის აღვირზე
და მძინარე კოლხეთი,
როგორც მზეთუნახავი,
პონტოს სანაპიროზე ჩუმად გამოაღვიძე.

2001



**ეხრიტონ და
ნეფერტიტი**

სიყვარულის უძღვის ღმერთი
და გზით ათასწლეულების –
სული ეგვიპტისკენ იღტვის,
სადაც ერთდროს მეუფობდნენ –
ეხრიტონ და
ნეფერტიტი.

1987



იბერიის მთიულები
ომს მისდევენ ისევ ისე, –
სტრაბონის მწირ განმარტებით
და...
არაგვთან ჩურჩულს ვისმენ –
სკვითების და
სარმარტების.

1969



ქაოსიდან ამოვიდა

და არასდროს აღარ ჩავა

მზე,

მზის შვილთა,

მზით მოსილთა –

ლეგენდარულ ქალღვევლთა,

მოსულთ –

კოლხურ მითოსიდან.

1974



ის წყვილი ვარსკვლავი –
თამარის ქოშებია,
ბუმბული რომ შვენით არწივის.
„კოლხური ფსალმუნები“
მითებით შეფუთქილი
და ცამდე აწვდილი
სვანური კოშკებია –
ნაგები დაღის და ბეთქილის.

1995



მოქვის ტაძარი

ჩემი ზღვა და აფხაზეთი

უნდა მოვილოცოთ ჩოქვით,
რომ უამთასვლის ურა ჰუნემ, –

აღარ გადათელოს ფლოქვით

და...

ტაძარში* კვლავ ესვენოს
ძველი სახარება მოქვის.

1992

* მოქვის ტაძარი – (957-967) ააგო ლეონ III-მ



ვაჟასა და ბალაკტიონს

მოსვლის დღიდან გკლავს სურვილი,
რომ მათი ცის მაღალ ჭერქვეშ –
ღამეები გაათიო.

და...

შენს სიგრძე სანთელს უნთებ –
ვაჟასა და
ბალაკტიონს.

1966



მზის და მთვარის მახვილით,
ბებერ უამთან იომე,
სულო, მაინც არ ცხრები...
შენს ძეგლს, დიდო პოეტო,
მთები კავკასიონის –
მწამს ექნება კვარცხლბეკად.

1999



ხილვა: სიაუშ სააკაძე

არის სახე და სახელი,
რომელიც ხსოვნაში ივანებს
და...
"ქართლის ცხოვრების"
ფურცლებზე,
გიორგის მამას ვჭკვრებ –
სიაუშს
და მის ძმებს: ზეშთაელს,
ჯანზურაბს,
ივანეს.

1973



მდიდარ სიცოცხლისაგან,
აღარ გრჩება იოტი,
რადგან ღოთი დღეები
გზაზე დამეს აფენენ.
და შენ ცისკენ მზირალი
ამბობ, ვით ელიოტი:
– პოეზია ღოცვაა...
და სხვა არაფერი!

1994



✽

პონტოს დუმილს ვაყურადებ
და გამჩენს და ბედს
ვემდური
(სხვები რომ არ ემდურიან!)
რომ "ლურსმული" წარწერები,
არც "ბერძნული",
არც "სპარსული"
და "ზანდური",
ყველაფერი (ქართული და...)
"მხედრული".

1981



გარდასულთა დროთა ქარი,
კოლხეთს ლეგენდებით ფარავს
(ჯერ ბერძენთა არ ჩანს "ნავი").

ეჭვრეც: ზღვა მაღავს
"კოლხურ ფა-რას*",

ვისმენ: მასზე გამოსახულ
ხარის ბლავილს.

1972

* "ფა" – ღვთაება, მზის – ("რას") მბრძანებელი



პეტრე იბერიელი

მზის წყვილიადით მოცული,
ამაღლებას მოელი.
ჯერ კი ღამეს ათევ –
შინ!

მერე ცაში იმეფებ –
"მიუწვდომელ ნათელში".

1967



**ხილვა: ვახტანგ ბორბასალი
სამეგრელოში**

აღმოსავლეთ საქართველოს
თვალეbs უწევავს შაჰ-კავადის
ომის კვამლი,

ცეცხლი ბოლთა.

სამეგრელოს ცის სარკეში
ვხედავ – ხიზან მეფე ვახტანგს,
პონტოს პირას,
რომ სცემს ბოლთას.

1969

* შაჰ-კავადი – სპარსეთის მეფე (488-531)



მითებში და ლეგენდებში –
ოქროს თოკით ხარ
შეფსკვნილი.
და დღეებმა ღამეები –
თავზე თეთრად დაგათია.
მოვარის ძუძუს – შენც
ზევსივით,
გაწოვებდა ა მ ა ლ თ ი ა.

1978



მოაწყინე თავი მიწას,
რაც იარე და ეხეტე!
აღბათ ერთად არ უვლიათ –
კოლხებს,
მიდიელებს,
ხეთებს.
დღეს ცა გელის,
ვით პრომეთეს –
"წინდახედულს!" და "შორსმჭვრეტელს".

2010

1,2 – პრომეთეს ატრიბუტები



**როგორც მოცარტი და
სალიერი**

დრო-ჟამი არხევს და ხეს
ცხოვრების –
სიკვდილ-სიცოცხლის სცვივა
ნაყოფი...
არა ჩანს ქვეყნის დასალიერი.
და ერთად არის ყოფნა,
არყოფნა,
როგორც მოცარტი და სალიერი.

2001



ქვეყნის გაჩენის დღიდან,
სიცოცხლეზე
სიკვდილმა,
რაც კბილები იღესა
და ცრემლები ადინა...
აღბათ კლოლხელებისთვის,
ნაკლებ არ უდენიათ
ასურეთელ პილესართ*.

1991

* მეფე თივლათ პილესარ პირველი,
თივლათ პილესარ მეორე, მესამე – (745 – 705 ძვ. წ.)



ხელისგულზე გისვენია

ცა და მიწა –

მზით გართული.

მაინც ქვეყნის ბრუნვას ვერ ცვლი!!!

თუმც შენა ხარ

მონათლული:

სულიწმიდითა და ცეცხლით.

2002



"ენას გიწუნებ, ფშაველო".

აკაკი

ფშაველო, შენი სახელი

რეკს,

ვით ჯურხაის ფარია.

და საუკუნეს მეოცეს

ჩამოსხენ ოქროს კარია.

"სამოცსა ფუთსა რკინასა

ქვეშ გაუტარე ქარია".

1966



ნაშიერი ხარ რუსთველის

მზეს აღსავლით მიაცილებს –
ვარსკვლავები დაუთვლელი,
ვით მაყარი ღამისა!

შენ კი, ჩემო,
ნაშიერი ხარ რუსთველის,
ვით "ერთარსი მამისა!"

2004



ცალფა

კელავ ბინადრობს აქ ზღვა
ცალფა¹,
ცის და მიწის თანატოლი.
და აქ ადრე მოდიოდნენ:
დალი²,
ბოჩი³,
ტყაში მაფა⁴,
აფსათი⁵ და ანატორი⁶.

1960

1 – "ცალფა" – (მეგრ.) – შავი ზღვის ძველი სახელწოდება
(ეროვასასველიანი ზღვა)
2,3,4,5,6 – მონადირეთა და ნადირთა ღვთაებები წარმართულ
საქართველოში



კოლხეთის ცას სახეზე
ფერი ედო იოდის.
ღვთისებრ ჩაფიქრებული
დაჰყურებდა მიწას მზე.
როს "ფაზისი დიოდა,
მეგრელების მიწაზე".
(პლინიუსი)

1966



შენში უხილავის ნებით,
მოსვლის დღიდან
რაც ჩასახლდა,
შენთვის ოქრო,
სხვისთვის ელდა!
ცხრა მზედ ამოჩახჩახდა
და შეიდფრად –
ამოცისარტყელდა!

1975



ვატერლო,

ბოროდინო,

კრწანისი

დავცქერი მწუხარე თარიღებს,

რომლებიც უამრავ ომებზე

დუმს და...

წამით ხმას არ იღებს.

და ხსოვნის ტირილი გაისმის:

– ვატერლო!..

ბოროდინო!..

კრწანისი!..

1989



თეთრი წმინდა ბიორგო

ორი ათასი წლის მერეც,

ქრისტეს მოსვლას

აქ – ელიან...

ჰკითხეთ ბერებს,

სარდლებსა და მეომრებს.

არც კვირიკე,

იოანე,

არც ელია,

ქვეყნად ქრისტე პირველია,

თეთრი წმინდა გიორგია –

მეორე.

1970



დიდი მგოსნები

რუსთაველი და

ბარათაშვილი,

ვაჟა,

აკაკი, ილია და

გალაკტიონი...

მათ სიდიადეს ვეტრფით ოცნებით.

და მაინც...

ზოგ-ზოგს დიდი მგოსნები –

მკვდრები უყვართ და

არა ცოცხლები!!

1959



**ჯიაკოპონოს ღამე
ტაბაკონის მთაზე**

ავთვალებსა და ავსულებს,
მზაკვალებს და
როკაპებს
სურდათ მოსრევა ადამის
მოდგმის,
ჯიშის და ბუნების.
და ღმერთთან ჰქონდათ აჯები!
იყო ღრეობა ჭინკების
ეშმაკების და ქაჯების...
და იყვნენ მაიმუნები –
„გითუტყვიცანდეს ყვაჯები“.

1958



მივალ, ვით ბერი კოპალა

იმ დევის მესმის ღრიალი,
ვინც ფშაელებს
წყალი „მოპარა“,
(მას ფიქრში ბევრჯერ შევები)
ათასწლის მერე იხინჭას¹
მივალ,
ვით ბერი კოპალა,
ამოსაწყვეტად დევების.

1959

¹ იხინჭა – ადგილი ფშაეში.



ტობავარჩხილი

მომწუხრისას ფეხაკრეფით,
მისი მცველი აღქაჯები
ამოდინ ტბის ფსკერიდან,
ვერცხლი წვეთავს –
მათ ფრჩხილიდან
და დილამდე მათი ხმები
ისმის –
ტობავარჩხილიდან¹.

1956

¹ ტობავარჩხილი (მეგრ.) – ვერცხლისტბა.



ოსეზ პარას ჭალა

პარა არჩანს...

მის ჭალაში,

არც სახლი დგას,

არც ოკარი

და სიმღერა რომ მოისმის!!!

ეხ,

ნეტავი რა ახარებთ?!

როცა მათი ეზო-კარი,

მოჰგავს დევთა –

ნასახლარებს.

2019



ტროას ბასსენება

ათასწლეულების მერე,
სადღეგრძელო –
მოდით,
შესვით!
აქილესს და ოდისეუსის.
რამდენიც გსურთ
მერე აქეთ,
პარისი და ტელემაქე...

1971



სიკვდილი

მიწაზე არა,

ცაში ბინადრობს

შავით კი არა,

თეთრით მოსილი,

ციდან ჩამოდის ანგელოსივით.

თუმცა მის მოსვლას

ვერვინ გეგულობს,

რადგანაც მიწას აღარ ეხება,

თუმცა აქვს დიდი ოჩოფეხები.

1968



სანდურავი

გამჩენსა და ბედს ენდური,
ღობე-ყორეს
კვლავ ედები,
რადგან შენთვის ცხრაკლიტული
არის ენა სანსკრიტული,
ურარტული და
ხეთური.

1962



თორღვა

„ადამიანებიდან ქაჯეთში
ჩასვლა თორღვას შეეძლო“.
ქართული მითოლოგია

იასხარის და კოპალას
გმირობას ესლა ვაჯამებ,
სანამდე მათ ხატს ვნახავდი:
როგორ ებრძოდნენ ავსულებს,
ღვევებს,
ქაჯებს და
სატანას.
... მწყალობდა ჯვარი ხახმატის
და მით ჩავედი ქაჯავეთს
„ფურის რქის“¹
ამოსატანად.

1961

¹ „ქაჯეთიდან მოტანილ „ფურის რქა“-ში ერთი ლიტრა ქერი ჩადიოდა.“ ხალხური

ბორჯომი და ნაბელავი

საქართველოს მთა და ბარი,
დედამიწის ცას შებღავის:
– უკვდავების წყალი არის –
ბორჯომი და ნაბელავი.

2000



არამხუტუ

არამხუტუმ, იმ დეკაცმა,
მეგრელებს გოგო მოსტაცა
ლაკადაში თუ
აბაშას.

და „მთიდან მთაზე ხტებოდა“,
თან მღვერებს იგერიებდა,
ხელთეპყრა წიფლის ლაბაშა¹.

1984

¹ „ლაბაშა – ყავარჯენი, გრძელი წვეტიანი ჯოხი, რომლითაც არამხუტუ მთიდან-მთაზე ხტებოდა“.



ხორბა

მეგრული ეზო...

კონდარი...

ჭა-ოწინარი...

სიმინდის ტაროს ოქროს კბილი

უჩანს მცინარეს.

და უცებ ციდან –

მოთვალთვალე ქორი

იწივლებს!

სოფელს აიკლებს კრუხის ქოთქოთი...

მოსუცი ბებო დგას და ჯოხით

ითვლის წიწილებს.

1955



100 ტომეული

როს იხილავენ ასტომეულს
„კოლხურ ფსალმუნთა“,
კოლხმა დედებმა
არ გაიოცონ!
ყური მიუგდონ სულ შორეულ
ხმას საღამურთა
და ღვთის ტაძარში
ჩუმად ილოცონ...

1993



ნაძვის ხე სასაფლაოზე

მშობლიური მიწის ძახილს
უსმენსა და
უღვას კერას.
და ფესვების მსხვილი ძაფით,
მიწისქვეშ ჩვენს,
საფლავს ღამბავს,
და ზევით კი ხსოვნას კერავს.

1965



კაკუნია

„ ... კაკუნია – არწივზე დიდი ფრინველია
და ზევით, ცაში ცხოვრობს“.

ქართული მითოლოგია

შენ ცა ხარ და დღე და ღამე,
ოქრო-ვერცხლის კარებია,
ღამის კარზე –

დღე-ნიადაგ

ვარსკვლავების კაკუნია.

დღეს ღია აქვს

და იქ ცხოვრობს

ღვთის ფრინველი კაკუნია.

1963



კუნძული

ადარსაიდან მოსულმა,
სხვა რაღა უნდა
ინატრო,
ცხოვრებით არ კმაყოფილმა!
შენ,
იმ კუნძულზე ბინადრობ,
სხვა რომ არასდროს
ყოფილა.

1984



ეიფელის კოშკი

სულის ცრემლი –

მთვარის ქვაზე,
თუკი სიყვარულით ღესე,
და მგოსნობაც შეიფერე,
მაშინ,

ყველა კარგი ღექსი,
კოშკი არის –
ეიფელის.

1992



სამეფო ფიქრის და წარსულის

აუუ!..

რა შორსა ჩანს –
უუძველესი კოლხეთის
ცათამდე აწვდილი მთები
და ზეგანი.

მეფე აიეტი და მისი ასული.
ხმამიუწვდომელი და
უკიდებანო
გახლავთ ის სამეფო –
ფიქრის და წარსულის.

2019



გახუა მეგრელაური

ცათამდე წვედება კოცონი,
არის დევეები ღრეობა,
ჩხუბი და
აურზაური....
„ძმის ხორცი როგორ ვჭამოლ“ –
არხოტიდან ხმა
მოისმის –
გახუა მეგრელაურის.

1960



ღღეები...

ღამეები

ცის კაბადონზე ბედის ვარსკვლავი

ჩვენი,

ინთება...

ქრება...

ციმციმებს...

ენტოს, არ ენთოს ვერ ვწყვეტ

არჩევანს.

ღღით დაღლილები –

ღამით ვიძინებთ,

ღამეები კი სიკვდილს გვაჩვენენ....

2014



ღეშო და პოეტი

რა ქნას საწყალმა პოეტმა,
ვით დე გრიე და
მანონი
შეიპყრეს ის დემონებმა!!!
თუმც მათ სურვილს
და კანონებს,
არ იქნა... არ ემონება...

2019



* * *

ჰოი,

როგორ უხდებათ თეთრჩოხიან
მთებს ბანი.

კოლხეთს ბუდობს ოდიდან
მზე და

საოცრებანი.

და ხმა ისმის წინწილის,
ჩანვისა და ებანის.

1980



* * *

ესეუბიან დემონები შავი ღრუბლების
ცაში, და ნათელს
ბნელით ფარავენ
მაინც ყვავილობს მოვარის თეთრი
იასამანი
და... უფლის გარდა იცის არავინ,
ყოფნა-არყოფნის
სად ძეგს სამანი.

1986



* * *

(ვარიანტი)

ქვესკნელიდან –

ზესკნელამდე,

გზა უსასრულო და

უღეკია.

ცა – სასაფლაოა,

და მოციმციმე ვარსკვლავები –

ჩვენი წინაპრების სულებია.

1975



* * *

შენი მხურვალე ლოცვა,
უფალთან კვლავ ადის ცად,
ამიტომ წუთისოფლად
მოგიწევს
მარადისად,
სიკვდილის მერე ყოფნა.

2003



საუკუნეა ოცდაცამეტი

სინამდვილეა და არაფერს აღარ
ვაბეტებ,
საუკუნეა ოცდაცამეტი,
რომ კოლხთა წარსულს ჩაფრენია
ღამე კლანჭებით...
საუკუნეა ოცდაცამეტი,
რომ მედეას გლოვობს შავი ზღვა,
შავებს იცვამს
და იტანჯება.

1963




* * *

ხელში აღუჩის თეთრი ტოტებით
თეთრჩოხიანი მოდის
აპრილი.

მთვარე ჩაცქერის პირდაღებულ
ღამის უფსკრულებს.

ზღვა ხახას აჩენს გველეშაპივით,
ცა ვარსკვლავებმა ჩააღუსკუმეს.

1971



* * *

დამეულ გზებით შორს რომ მიდიან –
ისიდაა ან იაღოვაა...
კუზი კი არა ცოდვა კილია
და ის ბოროტი კაცის სულია –
ლოკოკინად რომ ხეზე
მიღოდავს.

1994



* * *

ელვა, ვით ბონაპარტე,
თავს კვლავ აფარებს სადღაც,
მღვრიე ღრუბლების კუნძულს.

ცა - კი

ამორძალს მოჰგავს,
მთვარის მოჭრილი ძუძუთ.

1958



* * *

ქარებს სიშორე და ღელვა
მოაქვთ,
როგორც დანაპირი,
ღრუბლებს ელვის სდევს რეფრენი.
გულში იკრავს სანაპირო
ტალღებს –
ზღვიდან ამოფრენილს.

1978



მტრედი

თითქოს მოფრინდა აქ,
იმქვეყნიდან,
აგერ,
მტრედი რომ ზის და ღულუნებს
და დამშვიდებას ჩვენსას რომ
ცდილობს,
ო, არა შვილო!
ქვეყნად ვერრარა ამოავსებს
დღეთა ჯურღმულებს.

1989



* * *

ცის ვარცლზე დაყრილ ვარსკელათა
ღერდილი,
მთვარის დიდ საცერში იცრება.
ადამის ძეს კი მიწაზე
დღეები სულს ისევ ართმევენ...
და როგორც ბნელი და ნათელი,
სიცოცხლე სიკვდილით იცვლება.

1998



* * *

მოთქმა,
გოდება,
ბღავილი და...
ესე ქვეყანა
სასაკლადო და ქცეულა ბოსლად.
რაა სიცოცხლე! –
მარტოდენ წასვლა და
მოსვლა.

2004



* * *

სასაფლაოსკენ თმაგაშლილი
გამორბის ქარი
და ეკვეთება კივილით მუხლი.
სამარეს ჭრიან და მიწა კენესის.
დგას თავდახრილი კუბოსთან
მწუხრი
და ჩუმად უსმენს ვარსკვლავთა მესას.*

1972

* მესა (ფრანგ.) – კათოლიკური ღვთისმსახურება, წირვა.



თეთრი ვარდი – გრაალის თასი

ციდან –

მიწით ჩამოშლილი,
მიღმა ღამის შავი ფარდის,
სამოთხისკენ გზა არი...
და... გაშლილი თეთრი ვარდი,
ვარდი არა,
თასი არის გრაალის.

1976



იალუს მინდვრები

გმირების და მგოსნების
ღურჯი საფლავებია –
ეს მთები და ბორცვები.
და სამშობლოვ! საშველად,
როდესაც მოგინდებით,
წამსვე გაგვაცოცხლებენ
ჩვენ „იალუს მინდვრები“.*

1968

* პირამიდების ტექსტის მიხედვით „იალუს მინდვრებზე“
ცოცხლებოდნენ მკვდარი ფარაონები.



* * *

მტკვარს აკვანში მშვიდად ძინავს,
ქოსა აღა-მაჰმად ხანის
ხმა არსიდან არ ისმის,
მაინც ყაყაჩოთა სისხლში
ცურავს ველი
კრწანისის.

1969



როგორც პოეტ-მითოლოგს

ათასწლეულების იქით,
შენმა ოქროს „ფსალმუნებმა“
იწვიმოს და
ითოვოს.

და მზე დაგკრას ლეგენდებმა,
როგორც პოეტ-მითოლოგს.

1963



აქციუსი და აიუტი

დიდმა მამამ –
 ჰელიოსმა,
ორივე ძე, უკვდავების-
 სთვის ისე გაიმეტა,
რომ უარი ვერ გაბედა.
ვერც უფროსმა აქციუსმა.
ვერც უმრწემესმა აიუტმა.

1994



შენი ღიმილი

შენს ღიმილში ღვთაებრივი
ცეცხლი ღვივის
და სიცოცხლის ბადეს გიქსოვს,
და არა ჰგავს „ფრესკის ღიმილს“¹
„სფინქსის ღიმილს“²
და არც „ღიმილს დიონისოს“³

1971

-
- 1 „ფრესკის ღიმილი“ – (ლ. გუდიაშვილი)
 - 2 „სფინქსის ღიმილი“ – (ლ. ალფენიძე)
 - 3 „დიონისოს ღიმილი“ – (კ. გამსახურდია)



* * *

მამლის ყივილით ადიდებული –
ცისკრის ნაპირი
სადღაც ცახცახებს
და მზეც მიიწევს მისკენ მხარულით,
შორს მოსჩანს მთვარე –
უფლის სასახლე,
მნათთა მესრებით შემოსარული.

1961



* * *

ვცან სასწაული წყლისა და ცეცხლის,
მიწის გაქრობის შიში
მისი რყევისგან ვიგრძენ,
და მაინც ვსახავ ცას –
მედიუმად,
თუმც ვეღარ ჩავწვდი სამყაროს
სიბრძნეს:
რას ფიქრობს მთვარე,
ვარსკვლავები ან რატომ ღუმან.


1962



* * *

ურჯულოებმა,
მარტოობის ჯვარზე გაკრული,
ვით ქრისტეს კვართი,
ქართლო,
ბევრჯერ გაგინაწილეს,
ხან გამოკლებდნენ...
და ხან გწელავდნენ,
შენს თვალებიდან ათასეულ
წლებით ნაწვიმი –
ცრემლი და სისხლი გწვდება წელამდე.

1993



* * *

მზე –
დედამიწის სიყვარულია
და გულის სიბოლო არასოდეს
აღარ აკლდა მას,
მთვარე სიყვითლით სნეულია
და არ მორჩება,
ელვა ხშირ-ხშირად ხსნის და
ხურავს ღამის აკლდამას –
პირთამდე სავსეს –
ფოსფორიან მნათთა ჩონჩხებით.

1964



* * *

მეუდაბნოე,

ღვთისმოშიშ ბერივით,

მწირი და მარტვილი

და კვირის ღოცვებით მონუსხული,

ვკითხულობ ქართველის ცას –

გაშლილს ეტრატით

და ნაწერს ვარსკვლავთა ნუსხურით.

1962



* * *

ეკლებიანი და გაუვალი,
ცხოვრება თურმე
ტყვა უსურის
და ალბათ მიტომ იბადები
შეკრულ მუჭებით,
სიცოცხლის კალთას სულ ამოდ
ებლაუჭები,
ადამიანო!
ხარ უსუსური.

1984



* * *

ჩემო ლამაზო სიცოცხლე –
შენ, ავო დედინაცვლო,
მე კარგად ვიცი,
სიკედილზე,
დღეს თუ ხვალ უნდა გამცვალო,
ამიტომ მინდა ცოტა ხანს,
კიდევ ცოტა ხანს მაცალო,
რომ წუთისოფლის შხამ-გესლი,
ბარე, ბოლომდე დაეცალო!


2003



* * *

ქართველების სიყვარული –
მზეზე გდია და სულს დაფავს,
რადგან სიძულვილის ღვინო,
ძმათა ზიარ ქვევრებიდან –
ვერ იქნა, ვერ ამოსაპა,
ვერც ვახტანგმა,
ვერც დავითმა,
თამარმა და მისმა პაპამ.

1991



* * *

გადაშლილი მაქვს ფედერიკო
გარსია ლორკა –
საუკუნეთა აღტაცება და
მწუხარება...

ბოშა ქალები...

სომბრეროები...

კორიდა...

ცივი ბლავილი ისმის ხარების
წიგნის –

პატარა მინდორიდან.

1959



* * *

ფრთიან ისრებად ნატყორცნ
სტრიქონებს –
სისხლში ვავლებდი და სულს ვატანდი
და პოეზიის ღურჯი ცის თაღი,
მხრებით მეჭირა –
მსგავსად ატლანტის.

2000



* * *

ღმერთებისა და დიდი მგოსნების –
დიდებისა და ხოტბას
ჩვეულმა
და ლეგენდებში დამენათევა,
ემსით განმკურნეს ტრფობით
სნეული –
ჰერამ,
აფროდიტემ
და ათინამ.


1967



* * *

როცა ვნახავ მითრის ბაგეს,
რადგან ვიცი,
სურო არა,
წუხილი და ცეცხლი მოჩქევს, –
წინაპართა ძვლებით ნაგებ –
დარდით ნაღეს –
ციხე-კოშკებს.

1993



* * *

ტანთ ვეფხისტყავის აცვია ჯუბა
და ტარიელი გეგონება
სახით,

იერთ –

წენეთელი ბიჭი

იის კონებით –

დგას რუსთაველზე,

თან ვიტრინებს ათვალიერებს.

1965



* * *

ნაიდებს და ნერიდებს,
სიცოცხლით კვლავ ატირებენ
და მითებში ნეტარებენ:
აბიები,
სატირები,
პიემები და კენტავრები.

1960



* * *

ჟამთა ქარიშხალს მიაპობენ
ლაზთა აფრები,
სიკვდილი ცველავს სიცოცხლის
ყანას,
საუკუნეთა მიღმა მძვინვარ
ომებში დგანან –
პონტოს ნაპირას,
ჩემი კოლხი წინაპრები
და სივრცეს აკრთობს
ზარგამხდელი მათი ყივილი.

1969



* * *

მიღვას ქათქათა ფიქრთა სასახლე
და მთვარე ჩემი სამოსახლოა –
შემოღობილი ვარსკვლავების
ოქროს მესერიით,
მიწაც ახლოა,
ზეცაც ახლოა,
და მე იქ ვცხოვრობ მარტოდ,
ესერა!

1962



* * *

ადიდებულა არაგვი,
მთებიც საღეჟსოდ აშლილა,
მაგრამ ნისლებში არ ჩანან –
ჩარგლელნი რაზიკაშვილნი:
ლუკა,
თედო და ბაჩანა.

1963



ქუნილი

ღრუბელთშემკრებმა სტეორცნა არგანი
და ჩაესვენა ზღვაში ურჩხული,
ნიმფებმაც ჰერას მოსვლა ახარეს,
იდემ კი რაღაც ჩაუჩურჩულა
და ზევსმა უცებ გადიხარხარა.

1964



* * *

გადავიწყების გზებით მიმავალს,
მივსდევ გარდასულ
ათასწლეულებს.

რა ვქნა, აწმყოში ველარ ვებევი.
და აკაკივით თავაწეული,
ჩემი კოლხეთის –
შორ ვარსულში დავეხეტები...

1964



ელაზგ-ლელეგ-ტირინეგი

ვითარც „უბნობს“ პელანიკე¹:

– ელინებმა ჰელესპონტში,

ალკიას და სქიალკეს,

პელაზგ² – ლელეგ³ – ტირინეგი⁴,

ვითარცა „ბარბაროსები“⁵,

სულ ერთმანეთს მიაკლეს.

1970

¹ პელანიკე ლესბოსელი – ბერძენი მწერალი.

^{2,3,4} კოლხური (ქართველური) ტომები.

⁵ „ბარბაროსები“ – არა ელინელები, არა ბერძნები.



* * *

რა თავში იხლი მარადისობას!

რომ ხარ მოკვდავი,

ხარ ბედნიერი.

უთვლელი ოქრო-ვერცხლის პატრონო.

მაგრამ გაშინებს:

უამმა ცბიერმა,

ვაჰ!

თუ,

შეკვდავებს შეგატოვოს!

1972



* * *

ახლა ღამაზ სამყაროს –
ფერი ადევს სუდარის,
ირგვლივ სიმწუხარეა.
მზე კი არა, მთვარეა,
სულის მარადიული,
თეთრი ნავსაყუდარი.

2004



ამბობს დიდი ჰომეროსი

„ღვინისფერი ზღვის შუა გულში“,
კუნძულს¹ ვერ შეეღივნენ
აქაელნი², დორიელნი³
და დიდებით შემოსეს...
მიტომ სძულდათ ელინელთ!! –
ამბობს დიდი ჰომეროსი⁴
და ეს სჯერა ლესბოსელს.

1969

¹ კუნძული – იგულისხმება კრეტა, თავისი ოთხმოცდაათი ქალაქით.

^{2,3} ძირძველი პელაზგური ტომები კრეტის აბორიგენი – ეტეოკრეტელნი.)

⁴ ჰომეროსი – უდიდესი ბერძენი (პელაზგი) პოეტი (VIII ს.ჩვ.წ.ა.)



* * *

ვარსკვლავთ მდინარეები –
ცას სინათლედ ერთვიან,
სულს მზითევად
ზღვა მოჰყვა.
სიყვარული ღმერთია –
მზე სიყვარულს ამოჰყავს.

1978



ვეფხისტყაოსანი

რეკავს და რეკავს ზარი ცხრაასი,
სმა შორეული ისმის
საარის.

მთიები არა,

ანგელოზთა ბრწყინავს თოლები.
წიგნი კი არა, სიბრძნის ზღვა არი,
სტრიქონები რომ გაწოლილან
ვეფხვის ზოლებად.

1969



* * *

სავსე იდუმალებით,
მთვარე თითქოს სვინქსია,
და შენ,
მზეს ნუ მიელტვი.
„ქველადური ცივია,
რაც კი მარადისია“.

1963



* * *

„მეტი სინათლე“...

გოეთე

დამიდან მოფრენილები –
ჩემი დღეები რომ
შლიან ფრთებს,
ამისთვის უფალს მადლობა.
და ზოგჯერ,
უამურ სინათლეს,
ჯობს სრულად უსინათლობა.

2008



* * *

მოგდევს ავი ზმანება:
იანუსის ჩურჩულით,
ეშმასა და დევების,
გესლის მონხეველ ურჩხულის:
არიმანის,
კაენის,
ნერონის და ჰეროდეს...
სოფლის ამოებას ტირი...
უნდა მღეროდე!

2009



* * *

განათდა დარბაზები –
მეცხრე ცის,
სანთლები აანთეს იქ ღმერთებმა.
და ვარსკვლავების ოქროს
სასანთლებიდან –
ნათელი იღვენთება.

1960



* * *

ეს დიდი მთები –
ცოდვას შენი
და არასოდეს გექნება შვება.
ათასწლეულებს მზის ქვიჯაში
მაინც დანაყავ.
წარსულისა და მომავლის ფრთებით
ამ ცისქვეშეთში მარადისად
იფრენ ამაყად.

2007



ფშავის არაგვთან

თუმც უამთა ბრუნვამ

ბევრჯერ დარაგვა:

ტოტი ბუერას და რტო მჟაველას.

მაინც ელიან გულისფანცქალით –
ფშავის არაგვთან –

ვაჟა-ფშაველას.

1977



* * *

დახუნძლული მთიეებით,
თუნდ ცის კალთა
ფარავდეს,
სხვა ჟინით და აღერსით.
მაინც კაცთა მოღვმაში,
ჩუმად ბუდობს მარადის
შიში –
უზენაესის.

1998



მიღმეთიდან მოხვედი

დღე-ნიადაგ გიხმობდა –

ზღვაზე პოსეიდონი¹

და ცაში ასპიროზი².

შენ კი, ვითა კოლხეთი,

პონტოს სანაპიროზე –

მიღმეთიდან მოხვედი.

1963

¹ პოსეიდონი – ზღვის ღმერთი.

² ასპიროზი – ვენერა, ვენუსი.



* * *

ირგვლივ სუფევს ქაოსი...
ვით დღე-ღამე ღვიძლია –
კაენიც და
მესიაც...
სიცოცხლეს და სიკვდილსაც,
ერთი დიდი –
ფესვი აქვს.



* * *

ღამის სიმყუდროვეში –
ისევ კრთები ელვად და,
ჩამოდიხარ ქუხილად.
მიწაზე ჭვრებ ხილულს და
ზეცაში კი უხილავს.

2004



* * *

იდუმალეებით ჩამორეკილი,
გაჩენის დღიდან გვიხმობს
სხვა ზარი...

და როცა წავაღო,
ღმერთო გვაცხონე.
ჩვენი სხეული არის
ტადარი,
სადაც ანთია რწმენა მაცხოვრის.

2001



ვარსკვლავთა ცათა საუნჯე

ზღვის ბილიკებით გადმოსულებმა,
ღრუბლებმა მთები
კვლავაც დაამუნჯეს,
თოვლის სპეტაკი აღმურებით.
ვარსკვლავებია ცათა საუნჯე,
შენი კი „კოლხური ფსალმუნები.“

1999



მითარც ბელურა

წეროებიც და წავლენ მერცხლებიც,
რომ თბილ ქვეყნებში
გამოიზამთრონ.

მე არსად წავალ, როგორც ბელურა,
მსურს რომ აქ მოგკვდე,
და ქართული ზეცა მეხუროს.

2008



ვუხმოზ ყამარს ღა ხვარამზეს

ვითარცა ამირანი,

ან

თავფარავნელი ჭაბუკი

(აწ მთვარესავით ჭარმაგი).

მივალ და დარდის შარაზე –

“რა ვქნისა” – ციხე ავაგე.

ვუხმოზ ყამარს ღა ხვარამზეს.

1961



მე და ჩემი ორეული

აქ –
არყოფნის სენშეყრილი
და სიბერე მორეული,
ჭაბუკივით ისევ ჩქარა,
მიუყვებოთ სოფლის შარას,
მე და ჩემი –
ორეული.

2003



**ცისკრის ვარსკვლავის
ბამონხელვაში**

განთიადისას ვეწვიეთ და...

დუმდა მთაწმინდა –

მგოსანთ საუბანე და

საფიცარი.

და როცა ჯიხვით შევსვით ზედაშე,

ახედეთ ცას და

ვაჟა ვიცანით,

ცისკრის ვარსკვლავის გამოხედვაში.

1965



გაღვას გვირგვინი

ვინ იცის,
რას იქმს ოცდამეერთე?!
საუკუნემ კი,
დიდმა მეოცემ,
შენს ცაზე უცებ გადაიგრგვინა,
თუმც ბევრი ღამე თეთრად ათია.
თავზე დილის მზის
გაღვას გვირგვინი,
და შენს თვალეში ვხედავ განთიადს.

2001



სიყვარულის იმპერიებს

მოგონების სკივრებიდან –
აღმოსდებათ ზოგჯერ გმინვა –
ამ ფერიებს,
იმ ფერიებს,
რადგან მათში აღარ სძინავს –
სიყვარულის იმპერიებს.

1967



გსურდა დიდხანს გელოცა

სამშობლოსთვის ყოველთვის,
ხმაღს მოჰგავდი აღესიღს,
რადგან ქართველის ტადარში –
გსურდა დიდხანს გელოცა.
და ცრემლიან თვალებში –
გედგა საქართველოს ცა.

1967



ღამის მიღმა –
 ღღის ჭიშკართან,
ცეცხლოვან მზის ჩანს ნატურა,
ცას რომ მნათი
 აღარ შერჩა, –
შეიცხადა ტყეში ტურამ,
 მთვარემ მხრები აიხეჩა.

1961



ნაძვები სასაფლაოზე

ველარ აკავებს კუბოს ფიცრები
და ვერც ბეტონის
სქელი კედლები,
ამოდის სული სამარედან
და მოწიწებით –
მიიწევს ცისკენ,
ვითარც ვედრება,
მაგრამ ჩხვლეტენ და არ უშვებენ
ნაძვის წიწვები.

1963




როდესაც ვუმზერ ზოგ-ზოგ პოეტებს
“ხელმწიფის ნავში”

მსხდომთ არხეინად.

და რომ ჰგონიათ თავი უფალი;
გამახსენდება “ქანაანელ ქალის
ნათქვამი”:

რომ ძაღლებს ჰგვანან ყველა მათგანი –
მუცელგაბერილს მეფის ქებით
და ნასუფრალით.

1979



რეკენ და რეკენ მწუხრის ზარები,
ცისკენ მიიწევს –
მოკვდავთ ვედრება.
ცივი ღუმილი მესმის ღმერთების.
და სადაც ცა და მიწა
ერთდება,
მათ ოქროს ღუმელს მეც ვუერთდები.

1968



დრო,

დღე და ღამის –

შავ-თეთრ ხეს,

გააპობს მთვარის ნაჯახით

და ღოდს გამოსწევს ლაზარე.

მე კი მთებს ერთურთს ვაჯახებ

და მიწა მიტომ ზანზარებს.

1957



აკოკალიფსი

აქ –

წიწამური,

და იქ – კრწანისი,

მომხდურს ეწადა, რომ ყოფილიყო,

საქართველოსთვის აპოკალიფსი.

მაგრამ...

წამს ყური მიუგდეთ,

ბაზალეთისა ლურჯ ტბიდან –

აკვანის რწევის ხმა ისმის.

2004



ჭილ-ეტრატის იაღბარი

ციურ სიმეუდროვეში,
როცა ის კითხულობდა –
“ჭილ-ეტრატის იაღბარს”.
უცაბედად მაცხოვრის –
მაღალ ჭიშკარს
მიადგა.

2000



დილა

წარსულიდან თუ მომავლიდან
უხმოდ მოსული,
ვით გაზაფხული,
ვით სიცოცხლის დანაპირი და
ჩამოქროლება ცივი ნიავის.
მზით აღუღებულ –
ცის ნაპირიდან –
გადმოდის დილა და ეღვრება –
სივრცეს სიამედ.

1979



ხილვა

ვარსკვლავით მოკაშკაშე –
 შუქთა შარავანდი გედგა,
ღვთაებრივი ცეცხლით მოსიღს.
ცის ტაძარში –
 ლოცვად შემდგარს,
გარს გეხვია ანგელოზნი.

1978



აუყვა მაღლა ძვირფას წიგნების –
მომთვარული საფეხურებით,
ერთად აუხდა,
რაც რომ ინატრა
(ამაზე მეტი რა ქნას მგოსანმა).
ახლა შორეულ ცათა ბინადარს,
სინათლის მლოცველ
ვარსკვლავების –
ესმის ოსანა.

1967



ვით ცეროდენას,
გამოქცეულს დევის კოშკიდან,
მეც ბაყბაყ ჟამის
მომდევს მღევარი,
ხელში მიჭირავს წლების კეტები.
და მე გაერბივარ...
და მიწაზე დაუტევარი,
ცაში ვარსკვლავთა კუნძულებზე
დავეხეტები.

1965



გვიმრა

ჩამოუქროლა ქარიშხალმა და
კენწეროზე შემორჩენილ
ინდურ ხურმებს,
ვითარც ჩიტებს, აუქშია.
საწყაღ სკებს ახადა როფები.
აქ,
ოთახში გვიმრას
ტოტები ისე გაუშლია,
თითქოს ფარშევანგი იფოფრება.

1962



შენ

ქართული სიტყვის დიდი ზღვა,
რომ არასოდეს დამყაყდეს,
 უცვლი წყალს,
 კვლავ გავეშებით,
შენ პოეზიის ბაგბაყდეს –
 აუელვარე ეშვები.

1999



ფერეტი და მერმეროსი

პონტოს ნაპირს რომ მოადგნენ

ოქროს ნავით,

– ვინ არიან?!

ცა რომ შეენით მზით შემოსილთ,

და ასე რომ შინაურად

ირჯებიან.

– ფერეტა,

მეორე კი მერმეროსი,

კოლხ მედეას ბიჭებია.

1962



ენგურთან

ენგურთან “დავლურს” უგლიან:
ოცნი,

“აფხაზნი”,

ლექები.

და საფლავებზე ტუია,

წუხილად კვლავ ირეკება.

ვაჰ, რა საზარლად ყმუიან

აღგეთს გაზრდილი ლექები.

1993



ლეგენდები, როგორც დაღის,
ცას სიბნელის
თმებს შეჭრიან
და ჩაქრება მოვარის კერა.
დღე კი ღამეს –
ქერეჭიანს,
იცვლის, როგორც გველი პერანგს.

1970



ცა გაქვს მოვლილი...
და ახლა, ვით ალიგიერი,
ქვესკნელს უსინჯავ ფერსა
და გემოს,
რომ მიატოვო არ გემეტება.
სამყარო თურმე,
ვით წყლის წვეთები,
ჰგვანან ერთმანეთს ზემო და ქვემო.

1997



ვარსკვლავების ღელავს ტბები
და იღვრება ოქროსფერად.

შავი ღამის არ ჩანს ძირი,
რადგან გიჟმა კომეტებმა
ცა დამეწყრეს...

და ჩაძირეს.

1966



მიმოყრილ ქვებზე საუკუნეთა,
სსონის მახვილი
ისევ ავლესე
და კვლავ მივკაფავ ისტორიის
წყვილად უღრანებს:
ოქროს საწმისით –
თავს იწონებს ველი არესის,
ფაზისს ჩასცქერის პირმცინარე
ბალი ჰეკატეს,
სხვა არრა მოჩანს,
რადგან წლები
კარებს კეტავენ.

1963



უიტმენი და თაგორი

ღამის წყვილადში როცა ინათებს,

ვჭკვრებ:

ორი ბრძენი და გოლიათი –

უიტმენი და თაგორი.

ნისლიან გზაზე მარადისობის –

საუკუნეებს,

ვით მიაგორებს.

1970



ღრუბლების ჯოგის ისმის
ყოყინი,
გადაჩაღული ცა ჰგავს –
ნაყანევს.

წყვდიადის ფსკერზე ყრია მნათობნი.
ნაპირთან ზვირთთა ისმის
ყაყანი,
ნეტავი ცხარედ, რას კამათობენ?!

1962



გადაუქროლებს საუკუნეებს –
შენეული სიტყვის სამუმი,
როცა ყველაზე დიდი
ფანტომი,
სიცოცხლე არა,
სიკვდილი რომ
მიგვატოვებს.

2003



ბადრის,
უსუპის და ამირანის –
სამი ძმის,
სამი დეკაცის დარად,
შევეურებ უშბას,
თეთნულდს და შხარას,
როგორც კოლხეთის უძილო ებგურთ,
რომლებიც ცისკენ
იღტვიან ერთფრად.
ასევე ხობოსს,
ფაზისს და ენგურს,
ვჭვრეტ, ვითა ნილოსს,
ტიგროსს და ევფრატს.

1963



მიაქროლებენ მათა ხომალდებს
ღრუბლები –
თეთრი აფრიანები
და მესის ხმაზე ხშირად კრთებიან.
წყვილადში მსხდარი ვარსკვლავები –
ტიტანებია,
ღამით თვალებს რომ აბრიალებენ.

1959



ღამეებივით შავი მწვერები,
თეთრი დღეების სდევენ
ნაკვალევს
და აშინებენ შორ წარსულში
მსხდარ ბნელ ფანტომებს.
შიშველი ელვა ცად დაკანკალებს,
აწუხებს სივრცე
და სიმარტოვე.

1967



ურარტუელ ხელმწიფის –
დიდი სარდურ მეორის
სპამ,
გზა პონტოს განლიეს,
ამას “მეფე სამოცი”,
ამცნობს მუხლმოდრეკილი
“კუტაიელ აიეტს”.

1971



ზღვის და ქაოსის ესმა ძახილი
მოკვდავს და...

თვალი როს გაახილა,
ვერ ჰპოვა ვერსად ფეხდასადგამი.
მირიადობით წლების ტალღამ
ბევრი არწია,
და მერე ბოლოს –
მოდგამ ადამის
ჩემს კოლხეთამდე შემოაღწია.

1967



მსურს პირისპირ შევეყარო,
მაგრამ თვალიც
ვერ მოვკარი.
ვახტანგ მეფე, ვით შაჰ-კავადს,
მე ჩემს სიკვდილს
მოსაკლავად
დავხდე.
მაგრამ ვერ მოვკალი.

2001



ტაღლების უროს სცემდა უღმერთოდ,
განრისხებული კლდეებს

ათონთან –

ზღვა მიჯაჭვული, როგორც აბრსკილი.
მიწას სიშორის წყვილადს

ათოვდა

ცა –

ვარსკვლავებით თვალეზღავსილი.

1962



თავს განაცვალებ

მტერი ვერასდროს ვერ შემაშინებს,
აიეტის და

გუბაზის ნაგრამს.

დაგჭირდე,

მიხმე,

თავს განაცვალებ.

სამშობლოვ ჩემო!

დედა ხარ, მაგრამ,

მეპყრობი, როგორც დედინაცვალი.

2003



**3000 ოქრომრავალ კოლხთა
მეუფე**


ჩამავალი მზის აზარფეშებით,
თითქოს და შხამი
არ დამელიოს,
ისე სულს, ღამის წყვილადს
შეუფენ,
ვზივარ ზღვისკარად, ველი ჰელიოსს,
ვით “ოქრომრავალ
კოლხთა მეუფე”.

1960



ცად ამალღებულ –
სამეგრელოს ღამაზ მთებიდან,
ბარად დაშვებულს
ბრძოლის ნაღართ, –
მდინარე ხობოსს ახსოვს ხატება:
მეფე წათეს და
მეფე გუბაზის,
მათი კოლხეთი – მზემდე მაღალი,
ათასხუთასი წლის შემდეგაც,
ვით ენატრება.

1964



ის იყო კაცი და
პოეტი,
სულს აჩნდა ვარსკვლავთა იარა,
მით იყო ქურასებრ
ქშინავი.
მან წამით “აკ” შემოიარა,
წავიდა...
და ახლა შინ არი.

1967



შორეული წარსულიდან

აიეტის ტკბილი ენა,
დაფნასავით მუდამ მწვანე,
მთელ კოლხეთს რომ
გარს უვლიდა,
ახლა მიმზერს გულდამწვარი,
შორეული წარსულიდან.

1989



ეპიპანო

პირამიდები კი არა,
სულია ფარაონების,
ცისკენ რომ ეზიდება,
ქვათა ჰარმონია
და მზისებრ რომ მოგიზგიზება:
ზეცადქცეული –
ტუტანხამონია,
ვარსკვლავად ქცეული გიზება.

1983



მეტაფორა

აზრის თეთრ რაშზე ამხედრებული
მივალ და

სივრცეს მივიმღერი,

ვით ავთანდილი.

ახურავს რითმის თეთრი მანდილი

და მეტაფორა,

ვით პატარძალი,

სიტყვის დარბაზში დაბრძანდება

და ლექსს მაძალებს.

1961



სარჩევი

შესავალის მაგიერ.....8

სულის უკვდავება.....25

იშთარი, ისილა,
დემუზა, ინანა.....26

ხილვა: ქალდეველები მცხეთასთან.....27

კოსმიური ანბანი.....28

შუა მტკვრისა და არაქსის.....29

მთვარე.....30

ხილვა: სემირამიდას ბალი.....31

ზარზმა.....32

ნანა.....33

იტალიაში.....34

თეთრი პეგასი.....35

ტიხარი.....36

ფრთები.....37

ფერისცვალება.....38

ამირანი.....39

ახალი მთვარე.....40

ისევ სოკრატე და პლატონი.....41

1795 წელი.....42

ბავშვობა.....43

ზამთარი.....	44
ისევ დიღება.....	45
* * * ვითარცა მაშინ, ათასეული წლის ..	46
სასაფლაოზე.....	47
ხილვა: აზონი (ძვ. წ. აღ. IV-III სს.).....	48
ადამიდან – ნოემდე.....	49
ცეცხლი	50
„ხმა სამარიდამ“	51
კირბები.....	52
უსხი ხარები.....	53
ხილვა: იოანე საბაწმინდელი (VII ს.).....	54
* * * დაიბადა მზე შიშველი.....	55
იბერთა და ქაღდეველთა „იმპერია“.....	56
დიღება.....	57
* * * უცხო ხმები მოდიოდა ციდან.....	58
* * * წარსულის ნისლით გადახურული ..	59
გარსკვლავების ასომთავრული	60
ცაცხვები.....	61
* * * კოლხეთი ვერ გააქრო.....	62
* * * ხობისწყლის პირ გაჩენილებს	63
ათი წლის მერე.....	64
იმათ იქით.....	65
ხილვა: ურარტუს ღურსმული წარწერები.....	66

მეცხრე.....	67
სახლი(ს)კაცები.....	68
მტკვარი, ფაზისი.....	69
კოლეჯი.....	70
ჯარგვალი.....	71
გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.....	72
კოლხეთი.....	73
ხეები ქარში.....	74
* * * სიცოცხლე! – ჩვენ რომ ვხმოვთ.....	75
ხილვა: არკადიელები.....	76
კაცობრიობის იმედი.....	77
ივლისი.....	78
15 მაისი.....	79
იოანე დამასკელი.....	80
სიკვდილი – მკურნალი.....	81
* * * შორით რომ მოხანს.....	82
სიცოცხლე – დღესასწაული.....	83
არსთგამრიგე.....	84
*** იდგა უამი.....	85
*** მეტი რა ქნას პოეტმა.....	86
ლეონარდ ულლის.....	87
*** ცხოვრების ათას.....	88
*** კმად მისმობ.....	89
*** შესციცინებენ ცისქვეშეთს.....	90

ტალღა.....	91
*** დავიწყების ბილიკებით	92
არკადია	93
*** შორს, ღამის მიღმა თვალებს.....	94
*** სადღაც ათასწლეულების.....	95
*** დღის და ღამის სამჭედლოში	96
*** ისტორიის მინდორი.....	97
ეხრიტონ და ნეფერტიტი.....	98
*** იბერიის მთიულები	99
*** ქაოსიდან ამოვიდა.....	100
*** ის წყვილი ვარსკვლავი.....	101
მოქვის ტაძარი	102
ვაჟასა და გალაკტიონს.....	103
*** მზის და მთვარის მახვილით	104
ხილვა: სიაუშ სააკაძე.....	105
*** მდიდარ სიცოცხლისაგან.....	106
*** პონტოს დუმილს ვაყურადებ.....	107
*** გარდასულთა დროთა ქარი.....	108
პეტრე იბერიელი	109
ხილვა: ვახტანგ	
გორგასალი სამეგრელოში.....	110
*** მითებში და ლეგენდებში.....	111
*** მოაწყინე თავი მიწას.....	112

როგორც მოცარტი და
 სალიერი..... 113

*** ქვეყნის გაჩენის დღიდან 114

*** ხელისგულზე გისვენია..... 115

*** ფშაველო, შენი სახელი..... 116

ნაშიერი ხარ რუსთველის..... 117

ცაღფა..... 118

*** კოლხეთის ცას სახეზე 119

*** შენში უხილავის ნებით..... 120

გატერლოო, ბოროდინო, კრწანისი..... 121

თეთრი წმინდა გიორგი..... 122

დიდი მგოსნები..... 123

საქართველოს..... 124

ჭიაკოკონობის ღამე

ტაბაკონის მთაზე..... 125

მივალ, ვით ბერი კოპალა..... 126

ტობავარჩხილი..... 127

ისევ პარას ჭალა 128

ტროას გახსენება..... 129

სიკვდილი 130

სანდურავი 131

თორღვა 132

ბორჯომი და ნაბელავი..... 133

არამხუტუ 134

ხორგა.....	135
100 ტომეული.....	136
ნაძვის ხე სასაფლაოზე.....	137
კაპუნია.....	138
კუნძული.....	139
ეიფელის კოშკი.....	140
სამეფო ფიქრის და წარსულის	141
გახუა მეგრელაური.....	142
დღეები... დამეები.....	143
დექსი და პოეტი.....	144
* * * ჰოი, როგორ უხდებათ.....	145
* * * ეხეტებიან დემონები.....	146
* * * ქვესკნელიდან – ზესკნელამდე	147
* * * შენი მხურვალე ლოცვა.....	148
საუკუნეა ოცდაცამეტი	149
* * * ხელში აღუჩის თეთრი ტოტებით....	150
* * * დამეულ გზებით.....	151
* * * ელვა, ვით ბონაპარტე.....	152
* * * ქარებს სიშორე და დელვა.....	153
მტრედი.....	154
* * * ცის ვარცლზე.....	155
* * * მოთქმა, გოდება.....	156
* * * სასაფლაოსკენ თმაგაშლილი.....	157
თეთრი ვარდი – გრაადის თასი	158

იალუს მინდვრები 159

* * * ცისა და მიწის აიხდენს სურვილს .160

* * * მტკვარს აკვანში მშვიდად ძინავს ...161

როგორც პოეტ-მითოლოგს 162

აქციუსი და აიეტი..... 163

შენი ღიმილი 164

* * * მამლის ყვირით ადიდებული 165

* * * ვცან სასწაული წყლისა..... 166

* * * ურჯულობმა..... 167

* * * მზე – დედამიწის სიყვარულია 168

* * * მეუღაბნოე..... 169

მტრედი..... 170

* * * ეკლებიანი და გაუვალი 171

* * * ჩემო ღამაზო სიცოცხლევე 172

* * * ქართველების სიყვარული 173

* * * გადაშლილი მაქვს ფედერიკო..... 174

* * * ფრთიან ისრებად ნატკორცნ..... 175

* * * ღმერთებისა და დიდი..... 176

* * * როცა ვნახავ მითრის ბაგეს 177

* * * ტანთ ვეფხისტყავის აცვია ჯუბა..... 178

* * * ნაიდებს და ნერიდებს 179

* * * ჟამთა ქარიშხალს მიაპობენ 180

* * * ცა – ღმერთივით შუბლმალალი..... 181

* * * მიდგას ქათქათა ფიქრთა 182

* * * ადიდებულა არაგვი.....	183
ქუხილი	184
* * * გადავიწყების გზებით მიმავალს.....	185
ელაზგ-ლელგ-ტირინები	186
* * * რა თავში იხლი მარადისობას!	187
* * * ახლა ღამაზ სამყაროს.....	188
ამბობს დიდი ჰომეროსი	189
* * * ვარსკვლავთ მდინარეები.....	190
ვეფხისტყაოსანი.....	191
* * * სავსე იღუმალებით	192
* * * ღამიდან მოფრენილები.....	193
* * * მოგდევს ავი ზმანება:.....	194
* * * განათდა დარბაზები	195
* * * ეს დიდი მთები.....	196
ფშავის არავკთან.....	197
* * * დახუნძლული მთიებით.....	198
მიღმეთიდან მოხვედი.....	199
* * * ირგვლივ სუფევს ქაოსი.....	200
* * * ღამის სიმყუდროვეში	201
* * * იღუმალებით ჩამორეკილი.....	202
ვარსკვლავთა ცათა საუნჯე.....	203
ვითარც ბელურა.....	204
ვეხმობ ყამარს და ხვარამზეს.....	205
მე და ჩემი ორეული	206

საქართველოში.....	207
ცისკრის ვარსკვლავის გამოხედვაში.....	208
გადგას გვირგვინი.....	209
სიყვარულის იმპერიებს.....	210
გსურდა დიდხანს გელოცა	211
*** ღამის მიღმა.....	212
ნაძვები სასაფლაოზე.....	213
*** როდესაც ვუმზერ.....	214
*** რეკენ და რეკენ მწუხრის ზარები.....	215
*** დრო, დღე და ღამის.....	216
აპოკალიფსი.....	217
ჭილ-ეტრატის იადგარი	218
დილა	219
ხილვა.....	220
*** აუყვა მადლა ძვირფას წიგნების.....	221
*** ვით ცეროდენას.....	222
გვიმრა.....	223
შენ.....	224
ფერეტე და მერმეროსი.....	225
ენგურთან	226
*** ლეგენდები, როგორც დაღის.....	227
*** ცა გაქვს მოვლილი.....	228
*** ვარსკვლავების ღელავს ტბები.....	229
*** მიმოყრილ ქვებზე საუკუნეთა	230

უიტმენი და თაგორი	231
*** ღრუბლების ჯოგის ისმის.....	232
*** გადაუქროლებს საუკუნეებს.....	233
*** ბადრის, უსუპის და ამირანის.....	234
*** მიაქროლებენ მთათა ხომაღლებს.....	235
*** ღამეებივით შავი მწვერები.....	236
*** ურარტუელ ხელმწიფის	237
*** ზღვის და ქაოსის ესმა ძახილი.....	238
*** მსურს პირისპირ შევეყარო	239
*** ტაღლების უროს სცემდა ღმერთოდ...240	
*** პალმის მარაოს გინანავებდა	241
თავს განაცვალებ	242
ვით ოქრომრავალ კოლხთა მეუფე	243
*** ცად ამაღლებულ	244
*** ის იყო კაცი და პოეტი.....	245
შორეული წარსულიდან	246
ეგვიპტეში.....	247
მეტაფორა.....	248

2020.08.05

"საერთაშორისო უსამართლობების" 100-დღეობის
43-დღიანი, საქართველოში მიმდინარე მსოფლიო, საქართველო
საერთაშორისო უსამართლობების, საქართველოში მიმდინარე
საერთაშორისო უსამართლობების 3-დღიანი უსამართლობის
უსამართლობის, 3-დღიანი უსამართლობის 3-დღიანი
უსამართლობის 3-დღიანი უსამართლობის, 3-დღიანი უსამართლობის
უსამართლობის 3-დღიანი უსამართლობის, 3-დღიანი უსამართლობის
3-დღიანი უსამართლობის, 3-დღიანი უსამართლობის 100-დღიანი
უსამართლობის 3-დღიანი უსამართლობის 3-დღიანი უსამართლობის
3-დღიანი უსამართლობის 3-დღიანი უსამართლობის.

საერთაშორისო უსამართლობების
2020.08.05



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 91

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 91

გამომცემლობის
რედაქტორი – შალვა ილუშიძე
მხატვარი – სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ღუმბაძე
კორექტორი – ია მაჭავარიანი
კომპიუტერული
უზრუნველყოფა – ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქუჩის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com